


# საქართველოს



იმისთანა წმინდა საცემში,  
ბრძოლით ბეჭდული სიფყვას,  
ფეხით და ჭიბით ბუდის  
გაფანა ყულა უკადრისადაც  
უსამაგლესია.

**დაარსებულია**  
1918 წელს.

სამუშაოთი, **2** აპრილი, 2013 წელი.  
№60 (7187)

# რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: [sakresp@mail.ru](mailto:sakresp@mail.ru) და [sakresp@wanex.ge](mailto:sakresp@wanex.ge) ვებ გვერდი: [www.open.ge](http://www.open.ge) ფასი 50 თეთრი.

## ამჟამად, არამყარ თანაარსებობის პირობებში, როგორც არჩევენებზეაბეზული პარტიის ლიდერი და ქვეყნის პრეზიდენტი, მე სრულად ვერ ვხედავ ჩემს ადგილს ჩვენი უმეღბოში სახელმწიფოებრივი განვითარების პროცესში



### საქართველოს პრეზიდენტის საგანგებო განცხადება

ჩემი ცხოვრების მთავარი აზრი და მიზანი ყოველთვის იყო, არის და იქნება საქართველოს მუდმივი წინსვლა არა საერთოდ ევროპულ ცივილიზაციაში, არამედ ევროპულ ტელევიზიასთან ერთად, მაგრამ ამჟამინდელი არამყარი თანაარსებობის პირობებში, როგორც არჩევენებზეაბეზული პარტიის ლიდერი და ქვეყნის პრეზიდენტი, მართალი გითხრა, სრულად ვერ ვხედავ ჩემს ადგილს ჩვენი უმეღბოში სახელმწიფოებრივი განვითარების ყოველდღიურ რთულ პროცესში, ჩემი საქვეყნო თავგამოდება და ყოველგვარი მცდელობა, ჩემი ყოველი სახელმწიფოებრივად თუ საზოგადოებრივად გაჯერებული განცხადება ბევრის თვალში აღიქმება როგორც მხოლოდ და მხოლოდ ფუჭი ოპოზიციური აზრი და ახალი ხელისუფლების მიმართ ანგარიშსწორება, კრიტიკაში დგომა, რაც ვითომც ხელისუფლებაში ჩვენი კვლავ მობრუნების მძაფრი სურვილით არის ნაკარნახევი.

ეთ, ხალხის სოციალური მდგომარეობა ბოლომდე გავაუმჯობესეთ ანდა ყველა პოლიტიკური თუ ეკონომიკური საკითხი გადაწყვიტეთ. არა, რასაკვირველია. ოღონდ ის კი აუცილებლად უნდა ვთქვა, თანაც ხმამაღლა და თამამად უნდა ვთქვა, რომ ქვეყანაში კორუფციად სახელდებული შავი ჭირი ნამდვილად მოვსპობ, სამოქალაქო წესრიგი ნამდვილად დავამყარებ, საქართველო ნამდვილად გავხადეთ სახელმწიფო, რომელიც ურყევად დაადგა დასავლეთის გზას და რომელსაც ანგარიშს უწევდა დანარჩენი მსოფლიო.

რა თქმა უნდა, დასანანია, რომ გაეროს ბოლო კვლევებით, საქართველოში დღეს თითქმის ნახევარ მილიონ ადამიანზე მეტი შიმშილობს. დასანანია, რომ დასავლეთის თვალში ბევრ რამეს, უკვე მიღწეულსა და თავდადებულს, აშკარად ჩრდილი მივაყენეთ, დასანანია, რომ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად ოკუპანტის გულის მოგებას ცეკვა-თამაშით ვცდილობთ, დასანანია, რომ აღმშენებლობას ნგრევით ვცვლით და ქვეყანას მომავლისკენ კი არა, წარსულისკენ ავალეზინებთ გეზი.

არადა, პირადად მეც და ჩემს გუნდსაც სრულად გვაქვს შეგნებული, რომ ეს ახლა ყოველად შეუძლებელი საქმეა. ასე რომ არ იყოს და ჩვენ მართალი რომ გვეფიქრა უკან მობრუნებაზე, შევეცდებოდით მაინც ჩვენი იმ არაერთი უფლების გამოყენებას, რასაც კონსტიტუცია პირადად მე მანიჭებდა და მანიჭებს როგორც ქვეყნის პრეზიდენტს. მაგრამ როგორც ნახეთ, ქვეყანაში ჭეშმარიტი დემოკრატიის ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრების მიზნით და ასევე ჭეშმარიტი თანაარსებობისთვის ძალიან ბევრ შესაძლებლობაზე ვთქვით უარი. როცა საქმე ეხება ქვეყნისა და ხალხის მომავალს, ჩვენ ყოველთვის ქვეყნისა და ხალხის მხარეს ვიჭერთ. ასე იყო გუშინაც, ასეა დღესაც და ასე იქნება ხვალაც.

არც კიდევ იმას დაემაღა, რომ როგორც ყველა ხელისუფლება, არც ჩვენ ვყოფილვართ დაზღვეული შეცდომებისგან, რომელთაც ახალი ხელისუფლება მომავლდინებულ ცოდვად და დანაშაულად გვითვლის და ვითომ სამართლიანობის აღდგენის საბაზით ჯვარზე გვაკრავს. არადა, მსგავსი ცოდვანი თუ დანაშაული რომელ ქვეყანაში არ მომხდარა! სახელდახლო მაგალითად სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაც გამოდგებოდა, სადაც პოლიციის ჩარევას ათას კაცამდე მსხვერპლიც კი მოჰყოლია. მაგრამ, როგორც ცნობილია, მანდელა, ქვეყნის პრეზიდენტი, მშვიდობის ნობელის პრემიის ლაურეატი გახდა. ჩვენთან კი რატომღაც ყველაფრის უკუღმა დანახვა გვინდა, გაზვიადებულად და პოლიტიკური სარგებლიანობის თვალთ.

ყოველივე ამან, იმედგაცრუებული ამომრჩევლისა არ იყოს, მეც საბოლოოდ გამიიტეხა გული ამჟამინდელ ხელისუფლებაზე და, ვინაიდან ეგრეთ წოდებული კოჭაბიტაციის, ანუ თანაარსებობის პირობებში ერთგვარად ხელფეხშეკრული აღმოვჩნდი, გადავწყვიტე, რომ ვადაზე ადრე დავტოვო ქვეყნის პრეზიდენტის პოსტი, რათა როგორც ქვეყნის ჭეშმარიტმა გულშემატივარმა და ჭირისუფალმა ოპოზიციონერმა სრულად ვიპოვო ჩემი ადგილი ჩვენი უმეღბოში სახელმწიფოებრივი განვითარების ყოველდღიურ რთულ პროცესში. მით უმეტეს, რომ ქვეყანა ნამდვილად გადასარჩენია, მე კი, როგორც ერთხელ უკვე განვაცხადე, პრეზიდენტის სასახლეში მხოლოდ დარაჯადლა მზივარ.

თუმცა, აქვე გულისტკივილით უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ამომრჩეველს, რომელმაც პირველ ოქტომბერს ჩვენ ზურგი შეგვაქცია და ხმა არ მოგვცა, ბევრი დაპირების შესრულების თვალსაზრისით ნამდვილად იმედი გაუცრუა „ქართულმა ოცნებამ“. მართალია, ოცნების კოალიციის წევრები თავს იმით იმართლებენ, ეს ჩვენი დაპირებები კი არა, უფრო კეთილი სურვილები იყო, მაგრამ ეს საქმის ვითარებას სრულებითაც ვერ ცვლის. მე არ ვიტყვი, რომ ჩვენ სიღარიბე ბოლომდე ვძლი-

ისე, რასაკვირველია, როგორც ზემოთაც ვთქვი, ბევრად აჯობებდა, ახალ ხელისუფლებას მეტი დრო და ძალისხმევა თავისი წინასაარჩევნო დაპირების ხორცშესასხმელად წარემართა, ჩვენ მიერ დაწყებული აღმშენებლობის გზიდან არ გადაეხვია და გული არ გაეტეხა კეთილდღეობის მომლოდინე ამომრჩევლებისთვის, რომელთაგან, ალბათ, უკვე ბევრი ნანობს თავის ნაჩქარევ არჩევანს. ნანობს იმითომ, რომ შეპირებისამებრ ჯერჯერობით არც ტარიფი გაუნახვერდა, არც მკურნალობა და განათლება გაუხდა უფასო, არც პენსია მოემატა და, რაც მთავარია, შია.

თუ აქამდე, თქვენი ლოგიკით, ხელს გიშლიდით და გაფერხებდით თქვენი მიზნებისა თუ გეგმების განხორციელების საქმეში, აგერ ახლა სრულად დამითმია სამოქმედო ასპარეზი. დანარჩენი თქვენ იცით. ხალხი ყველაფერს სწორად დაინახავს და შეაფასებს.

მე ტყუილად ნულარაფერს დამაბრალებთ.

მიხეილ სააკაშვილი,  
2013 წლის 31 მარტი.

# მთავარი თემა

## მიუღებელია ეპროკოპული ქართლის მიერ უმცირესობის ენაზე საკითხის რატიფიცირება



სრულდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ბოლო დროს რეგიონული და უმცირესობების ენების შესახებ ევროპული ქართლის თაობაზე მსჯელობის განახლებას მიუღებლად მიიჩნევს, - პატრიარქის აღნიშნული განცხადება ჟურნალისტებს თბილისის აეროპორტში, ჰელსინკში პატრიარქის გამგზავრებამდე, მისმა მდივანმა, დეკანოზმა მამა მიქაელ ბოტკოველიმ გააცნო.

„- ბოლო დროს კვლავ განახლდა მსჯელობა რეგიონული და უმ-

ცირესობების ენების შესახებ ევროპული ქართლის თაობაზე, რაც ჩვენი აზრით მიუღებელია, რადგან იგი გამოიწვევს სეპარატისტული მოძრაობის გაძლიერებას და ქვეყნისთვის ახალი უშიშროების პრობლემების შექმნას. ვიდრე ჩვენთან, ეროვნულ უმცირესობებში სახელმწიფო ენის ცოდნის საკითხი არ მოგვარებულია და ვიდრე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არ აღმდგარა, პარლამენტის მიერ ამის რატიფიცირება დაუშვებლად მიგვაჩნია, - ნათქვამია პატრიარქის განცხადებაში.

### © ხაზურს არასოდეს ვტყვი!

# როცა თქმა სჯობს არა თქმასა!



### საპატრიარქოს განცხადება

სსმბდსსმბ საინფორმაციო საშუალებებით რამდენიმე დღე მინდინარობდა მსჯელობა სახელმწიფოს მხრიდან 25 მილიონი ლარით საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის დაფინანსების შესახებ და იყო მცდელობა იმისა, რომ საზოგადოებას უარყოფითი განწყობა შექმნოდა ამ თანხის გამოყოფის გამო.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გვინდა განვაცხადოთ შემდეგი:

1. საერთოდ, სახელმწიფოს მხრიდან რელიგიური გაერთიანებების პირდაპირი ან ირიბი (ხელფასები სასულიერო პირებისათვის, ზრუნვა მათ საყოფაცხოვრებო პირობებზე, გრანტები, ფინანსური შეღავათები და სხვ.) დაფინანსება ჩვეულებრივი პრაქტიკაა დემოკრატიული ქვეყნების და მათ შორის, ევრო კავშირის წევრ სახელმწიფოებისთვის. ამასთან, ამ მიზნით იქ გაცილებით დიდი ფინანსები გაიცემა და ეს ხდება, მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთ ევროპაში არც აგრესიულ ათეიზმს და არც კომუნისტურ ეპოქას ადგილი არ ჰქონია.

2. 2002 წლის 14 ოქტომბერს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და სახელმწიფოს შორის გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმებით (XI მუხლი), სახელმწიფო აღიარებს XIX და განსაკუთრებით XX საუკუნეში, კომუნისტური რეპრესიების დროს, ეკლესიისთვის მიყენებულ ზარალის ანაზღაურების ვალდებულებას.

ჩვენის მხრიდანაც არა ერთხელ იქნა განმარტებული, რომ საპატრიარქო სახელმწიფოსგან თანხას სწორედ ამ სახით იღებს. ამდენად, იგი არ წარმოადგენს დახმარებას, როგორც ეს გაფორმდა წინა ხელისუფლების მიერ, არამედ, - მიყენებული ზარალის ნაწილობრივ ანაზღაურებას. ვიმედოვნებთ, ხელისუფლება მომავალში სწორედ ამ ფორმულირებას მიანიჭებს მას.

3. მიუხედავად იმისა, რომ ეს თანხა არ არის მიზნობრივი და მის განკარგვაში ეკლესია თავისუფალია, ჩვენ, გავითვალისწინებთ რა ქვეყანაში არსებული მდგომარეობა, არ მოვიხმარებთ იგი საკუთარი საჭიროებისათვის (თუმცა სოფლად, განსაკუთრებით მთის რეგიონში, მოღვაწე სასულიერო პირების შემოსავალი მუცხად მნიშვნელოვანია, ასევე საპატრიარქოს თანამშრომლების ხელფასების მიზნით, - 180 ლარიდან 220 ლარამდე) და ვამჯობინებთ გადასახადის გადახდელთა თანხები, ჩვენი აზრით, მეტად მნიშვნელოვანი ორი მიმართულებით - სოციალური და საგანმანათლებლო საქმიანობით, - ისევე ხალხისთვის დაგვეტრუნებინა.

4. რატომღაც იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს, ეკლესია ასაიდუმლოებს 25 000 000 ლარის გან-

კარგვას, მაშინ, როდესაც დაინტერესებულ პირთ ისედაც შეუძლიათ მასალა იხილონ ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე.

შეგინებავთ იმასაც, რომ ფული ხელზე არავის მიეცემა, არამედ ერიცხებათ კონკრეტული დანიშნულებით, ნაწილ-ნაწილ, წინასწარ განერილი გეგმის მიხედვით და ეს პროცესი სახელმწიფოს მხრიდან კონტროლდება.

5. სულ, საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელ ეკლესიასთან არსებულ 90-მდე სასწავლო დაწესებულებაში 17 918 მოსწავლეა, რომელთაგან მზნ მუდმივად ცხოვრობს პანსიონში, 525 ბავშვთა სახლებშია, 130 მოხუცებულთა თავშესაფარში, ამათ ყველას 2119 თანამშრომელი ემსახურება, რომელთაგან 1364 პედაგოგია.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ხელფასების გარდა, ეკლესიამ უნდა უზრუნველყოს სათანადო შენობების აგება, მათი კეთილმოწყობა და მოვლა-პატრონობა, კომუნალური ხარჯების დაფარვა და სათანადო კვება, ბუნებრივია, რომ გამოყოფილი თანხა ამას არ ეყოფა და არც ყოფნის. ამიტომაც რიგი სასწავლებლები მხოლოდ ნაწილობრივ ფინანსდება და ისინი იძულებულნი არიან, შემოსავლის სხვა წყაროები მოიძიონ.

მწირი შემოსავლის მიუხედავად, ჩვენ არავით სხვა საქველმოქმედო საქმიანობასაც ვწევით, მაგრამ სახარებისეული პრინციპიდან გამომდინარე, - „მარჯვენამ არა იცოდეს, რასა იქმნა მარცხენა“, ხმაურს არასოდეს ვტყვი. თუმცა, ბოლო დროინდელმა მოვლენებმა დაგვანახა, რომ „ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა“.

და ბოლოს, კამპანია, რომელიც აგორდა მუსლიმურ ოჯახში დაბადებული გოგონა აბაშიძის გარდაცვალების გამო, კარგია, რომ საზოგადოებამ გაითავისა, მაგრამ შხამიანი ისრების დამიზნება, რატომღაც ძირითადად საპატრიარქოსთვის უნდოდა.

საქართველოში ყველა ბუნებრივი პირობაა იმი-სათვის, რომ შიმშილით არც ბავშვი გარდაიცვალოს და არც მოხუცებული, არც სანაგვეში ექვობის ვინმე ლუკმა-პური. საყოველთაო გაჭირვების მიზეზი რომ ეკლესიისთვის გადმოირცხული და სახელმწიფო ბიუჯეტისთვის „დაკლებული“ 25 მილიონი ლარი არ არის, ვგონებთ, ცხადვე ცხადია. ცხადია ისიც, რომ ეს ყველაფერი ეკლესიის წინააღმდეგ დაწყებული მორიგი შემოტევის ნაწილია, სამწუხაროდ, საზოგადოებრივი მაუწყებელი, როგორც ყოველთვის, ახლაც „მონოდების სიმალეზე“ აღმოჩნდა.

### © ზვისუპილან

## წმინდოვანი ზრახვები

● ვინც 19-ში მიტინგზე მოვა და იოანე ხერხეულიანს ემთხვევა: ბრძენს თვალეი ახილვებო, ყრუებს ლოკატორები ჩაერთვებო, მუნჯები ამეტყველებიან და „მიშა-ვანოს“ ყვირილს დაიწყებენ, მელოტები ჩახუჭუჭებიან, ჭარბთმანიები გასლიკინდებიან (უეპილაციოდ), უშიშროებს სქესის მიუხედავად შეილები ეყოლებათ, იმპოტენტები სიმალეში მოიმატებენ, კუზინები სამარის გარეშე გასწორდებიან, ავადმყოფები ლოგინშივე .....მოკლედ მოდით რა.

იოანე მეტაბიშვილი:  
● ჩემთვის ყოველი დღე 1 აპრილია!  
მისიელ სააკაშვილი:  
● „ძენ სურკაა“ რა ამ ქვეყანაში - 25 წელია 365 პირველი აპრილია წელიწადში.

● შო... მე და ჩემმა ღმერთმა, კუკავა და მანჯავიძე უნდა შეთანხმდნენ საერთო კანდიდატურაზე... ამომრჩევლების ხათრით, რადგან ფბ-ზე სწორედ ასეთი განწყობაა - ორივე მოსწონთ და არჩევანს ვერ აკეთებენ თამამად!!! რომც გააკეთონ არჩევანი - სმები დაიქსაქსება!!! არადა, ფაქტია, წინა არჩევნებისგან განსხვავებით - „ოცნებასთან“ მთავარი ბრძოლა აუცილებლად არასაპარლამენტო ოპოზიციას მოუწევს ნაძალადევი... ისიც იმიტომ, რომ ქართული არჩევნების მანკიერი გამოცდილებითა, თუ ჩვევით - ხალხი მაინც ღიწმინთ შემოსხავს მმართველ ძალას!!! მოკლედ - ხალხს თქვენ მაინც მოუსმინეთ!!!! და მაგალითი აჩვენეთ, რომ მათი განწყობა მნიშვნელოვანია თქვენთვის... ბოლო-ბოლო, პრაიმერი ჩაატარეთ!!!

● იმის ფონზე, როდესაც თურქეთს ოკუპირებულ იქვს საქართველოს ისტორიული მიწების ერთ მესამედზე მეტი, სტამბულის ოლქში გადასახდა 1,5 მილიონი ქართველი ტაო-კლარჯეთიდან და ლაზეთიდან, მიზანმიმართულად ანადგურებს ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებს ოკუპირებულ მიწებზე, გეგმაზომიერად ახდენს აქაზის ისლამიზაციას, ჩვენი ხელისუფლება ანკარას „მეგობრად“ მოიხსენიებს და ბათუმში მეჩეთის მშენებლობაზე დამლუპველ რევერანსებს უკეთებს მას!

● იპარავ ფუნთუშას - ხვდები ციხეში. იპარავ მთელ სახელმწიფოს და ხვდები პრეზიდენტში.

● ის ანეკდოტი ხომ იცით, ბავშვს რომ ზოპოპრკში წაიყვანს მამა, არაფერს არ უყიდის, არც საქანელებზე აქანავებს, გამოსვლისას ნატასვლელში სასწორიან კაცს დაინახავს ბავშვი, მამი ამწონე მაინც. ამ ახალაიას რომ დაასრულებთ ციხიდან ციხეში, არ კითხავთ, არ კითხავთ, ანონეთ მაინც.

● მოდი ახლა და ნუ შეგეცოდებიან ნაცები. საზოგადოებრივად გაგდები შემიდეგ ეს ქალი, ხათუნა ბერძენიშვილი კრწანისის რაიონის გამგებლად დანიშნეს. ცოდო არიან, აბა რააააა, ამის მეტი რომ არავინ ყავთ პარტიის სახედ და იმედად. მეგობრებო, ამ დანიშნებით ნაცებმა მთლად თავი „მოიჯაყეს“, როგორც ჩემი გურული ბები, ნატალია იტყოდა. სადა, არ ვიცი რაზე გამახსენდა, მაგრამ სანატარული დღეები როდისა? ნაციონალების მომხრეებს ერთი კარგი შამპუნის მალაზია ასწავლეთ ვინცხამ... შავლონდი.

ბია ბაბრიძე

## საქართველოში პენსიები გაიზარდა

ამის შესახებ ჯანდაცვის სამინისტროში სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელმა ნოე ქინქლაძემ პრესკონფერენცია გამართა. მისი თქმით, მთავრობა დღეიდან იწყებს საარჩევნოდ გაცემული დანაპირების ეტაპობრივად შესრულებას, რომლის ფარგლებშიც 2013 წლის პირველი აპრილიდან ასაკის პენსიონერთა პენსია 110 ლარიდან 125 ლარამდე გაიზარდება. აპრილში დამატებით გადასარიცხი თანხა 2 919 760 ლარს შეადგენს 194 961 ბენეფიციარისთვის.

ნოე ქინქლაძის ინფორმაციით, მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობების პირთა (პირველი ჯგუფის ინვალიდების) პენსია 100 ლარიდან 125 ლარამდე გაიზარდება; პენსია 21 912 პენსიონერს ეზრდება. აპრილში მათთვის დამატებითი გადასარიცხი თანხა 547 900 ლარი იქნება.

2013 წლის 1 აპრილიდან ძალიან პენსიონერებისთვის და საშობალო ავიაციის მომსახურებასა და სახელმწიფო კომპენსაციის ოდენობა გადანაწირდება, რისთვისაც ბიუჯეტში 19 მილიონი ლარია გათვალისწინებული. სა-

ხელმწიფო კომპენსაციის გადანაწილება-მატება 12 500 პირს შეეხოს, აპრილში დამატებითი გადასარიცხი თანხა მათთვის დაახლოებით 1 800 000 ლარი იქნება.

სულ აპრილში ზემოთ აღნიშნული ღონისძიებებისთვის ბიუჯეტიდან დამატებითი გადასარიცხი თანხა 5 267 660 ლარს შეადგენს. 2013 წლის 1 ივლისიდან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისთვის (57 000 ქულამდე მყოფი) ანუ სოციალურად დაუცველი ოჯახის პირველ ნევრზე 30 ლარის ნაცვლად 60 ლარი გაიცემა, ხოლო ოჯახის ყოველ მომდევნო ნევრზე არსებული 24 ლარის ნაცვლად 48 ლარი გაიცემა.

ასევე, 2013 წლის 1 სექტემბრიდან ყველა პენსიონერისა და პირველი ჯგუფის ინვალიდის პენსია 125 ლარიდან 150 ლარამდე გაიზარდება. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა და მეორე ჯგუფის ინვალიდობის პენსია 70 ლარიდან 100 ლარამდე გაიზარდება. მარჩენალდაკარგულნი და პოლიტრეპრესირებულნი პენსია 55 ლარიდან 100 ლარამდე გაიზარდება.

### © ხევა ოქაინის გაღვივან

## დამოუკიდებლობის რეპრეზენტის აღნიშვნა უოლ სტრიტზე

22 წლის წინ, 31 მარტს, საქართველოში 3,5 მილიონმა ადამიანმა ხმა მისცა საქართველოს დამოუკიდებლობას. მას მერე სამოქალაქო თუ სამხედრო ომებიც და ესენგეში შესვლა-გამოსვლაც გამოვიარეთ. თუმცა შემდგომი წლების პერიოდებში მაინც ვერ გადაშალეს ამ ისტორიული პლენისციტის ღირებულება. წინა საუკუნის შემოსავალი მუცხად მნიშვნელოვანი რამ: სწორედ ამ რეფერენდუმის საფუძველზე აღდგა საქართველოს დამოუკიდებლობა, რომელიც, ჩვენმა ჩრდილოეთელმა მეზობელმა მხოლოდ ფორმალურად ცნო, მაგრამ არა ფაქტობრივად.

წვიმიან კვირა დღეს ნიუ-იორკის საქმიან უბანში - უოლ სტრიტზე გაიმართა ნიუ-იორკში მცხოვრებ ქართველთა მიტინგი, რომლის მიზანი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აღნიშვნა.

გამომსვლელებმა ისაუბრეს საქართველოს პირველ პრეზიდენტზე, წაიკითხეს მისიელ სააკაშვილის წერილი რეფერენდუმის აქტუალობისთან დაკავშირებით, ისაუბრეს საქართველოს დამოუკიდებლობისთვის არსებულ ძველ და ახალ საფრთხეებზე, კავკასიისთვის რუსეთის იმპერიული ზრახვების საშობოებზე. ქართველებს სოლიდარობის ნიშნით ამერიკაში მცხოვრები პოლონელები და ჩერქეზები შეუერთდნენ. მათ ისაუბრეს იმ ტრაგედიის შესახებ, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ევროპასა თუ კავკასიაში არაერთხელ დატრიალებულა რუსეთის მიზნით - თუ სხვისი მიწების მიტაცებით თუ გენოციდით...

ია მერკვილაძე, ნიუ-იორკი, აშშ.



# ხალხი სწორად განსჯის!

არის დიდი ბჭობა-კამათი, ნაცმოძრაობა კიდევ ერთხელ დამარცხდაო, ძალიანაც არ უნდოდა, მაგრამ იძულებული გახდა ხმა მიეცა საკონსტიტუციო ცვლილებებისთვისო.

დამარცხდა, ნააგო? მთელი 6 თვეა საქართველო სულმოუთქმელად ელოდება, რომ ოქტომბერში მართლაც დამარცხებული, მართლაც თავში ჩართული ნაცმოძრაობა საბოლოოდ დამარცხდეს, ბოლოს და ბოლოს ჩამოვარდეს იშვილებიდან.

**მაგრამ რაც დრო გადის, ეს ეშმაკეული მოძრაობა უფრო და უფრო ყველგანობს. წალევა ურუნალ-გაზეთები, ტელევიკანები. უკვე არა მარტო ზოგადი დეკლამატორობს, არამედ თავისი პირობების კარნახსაც კი ბედავს, თუმცა ვერ უნდა ბედავდეს, რადგან ჯერ კიდევ ცოცხლობს სსოვნაში მათი ზეობის უკეთურობანი.**

ყოველ შემთხვევაში ქუთაისში მან სწორედაც თავისი პირობები წამოაყენა და გაიტანა კიდეც.

მაგრამ ამისთვის მას, საბოლოო ანგარიშით, საყვედური ნამდვილად არ ეკუთვნის. პირიქით!

მიუხედავად „ქართული ოცნების“ რიხიანი განცხადებებისა, მოგვცემს ხმას უმცირესობა თუ არა, გამარჯვება ხელში გვიჭირავსო, აღმოჩნდა, რომ არაფერიც არ ეჭირა და უმნიშვნელოვანესი საკონსტიტუციო შესწორება ჰაერში გამოეკიდებოდა, უმცირესობას რომ სიტყვა არ შეესრულებინა, ჩვენი მოთხოვნილი სარეიტინგო კენჭისყრა ჩაატარეთ, ანუ ქვეყანას აჩვენეთ, რომ უმცირესობის გარეშე თქვენსას ვერ გაიტანა და ჩვენს ხმებს უკლებლივ მოგიტოვებო.

მიუთვალეს კიდევ არა მხოლოდ აუცილებელი რაოდენობით, არამედ საყოველთაოდ.

როცა ოპოზიცია კარგს გააკეთებს, ვაუტოცობა უნდა გვეყოს, ვალიაროთ ეს.

**ისიც უნდა ვადიაროთ, რომ ბიძინა ივანიშვილის შორსმჭვრეტელობა რომ არა, „ქართული ოცნებას“, ანუ უმრავლესობას არაფერიც გამოუვიდოდა. სწორედ მან გაიანგარიშა, რომ ჩიტი ბდღვანდ ღირდა, ანუ საბოლოო შედეგი – საკონსტიტუციო შესწორების მოგება სწორედაც რომ ღირდა სარეიტინგო კენჭისყრის წაგებად და პარლამენტის სპიკერს დავით უსუფაშვილს თანხმობა მისცა იმ საჯილდოო ქვად ქცეული სარეიტინგოს ჩატარებაზე.**

იმას როდი ვამბობ, რომ თუ კონსტიტუციაში შესწორება არ შევიდოდა, რომლითაც უქმდებოდა პრეზიდენტის უფლება თვითნებურად დაეთხოვა მთავრობა, პრეზიდენტი პარლამენტსა და მთავრობას სანაგვეზე მოისროდა. მოისროდა და კაი ღლაგვაც დაიჭერდა!

მაგრამ ისეთი გაუნონასწორებელი პიროვნებისგან, როგორც მიხეილ სააკაშვილია, თავის დაზღვევა სჯობდა.



## ...და არაფერი სიმატლის ბარდა!

ვინ იცის, საკონსტიტუციო უფლების გამოყენების სურვილსა და შესაძლებლობას, იქნებ ავანტიურისკენ ებიძგებინა კიდეც. ძნელია წინდანინ მოტივირო რას მოიმოქმედებს ერთი წუთის შემდეგ კუთხეში მიმწყდელი, სკამს ჩაბლაუჭებული ეს არაადეკვატური კაცო.

ეს კია, მისი შესაძლო უდღეური მცდელობა ალბათ, გადავსებული ფიალის ბოლო წვეთად იქცეოდა და სახალხო მღელვარებად გადმოიღვრებოდა.

საერთოდ, ხალხის სახელით ლაპარაკი ერთობ სარისკო და უმადური რამ არის, მაგრამ ამ შემთხვევაში მინიშნება საყოველთაო გამოსვლების ალბათობაზე, ვფიქრობ, ნაღლია.

ისიც ნაღლია, რომ ასეთი ინიციატივები მარტო ინიციატორისთვის როდია სახიფათო.

ცნობილია: რაოდენი ვათვლა სჭირდება ხოლმე ამა თუ იმ წამოწყების დაგეგმვას და პატრუქის ნაკიდებას.

ამასწინანდელი იაღლიში ავილოთ.

მე არ ვიცი ვინ და რატომ დაგეგმა აგრარული უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის ჩამორთმევის საექვო წარმადობის აქცია.

ის კი უეჭველია, რომ დაიგეგმა, როგორც ადრე, ნაცების დროს იგეგმებოდა – უთავოდ, ისე, რომ არ გაუსიგრძელებია იქ არსებული მდგომარეობა, მოსალოდნელი შედეგები.

აიღეს და გააუქმეს, ალბათ ბენდუქიძის საჩქმეტად.

მიიღეს კიდეც ხმაურიანი სტუდენტური გამოსვლები!

**შეიძლება, დავუშვათ, ეს მღელვარება გარედან იყო ორგანიზებული და სოფლის სვალინდელი მუშაკები სხვათა ნების უბრალო, მექანიკური შემსრულებლები იყვნენ, მაგრამ იმას ხომ ვერ გადავფიცავთ, რომ მათ ჩინებულად შეასრულეს „დავალება“. ცოტაც და სულ წია-წია წაიღებდნენ განათლების სამინისტროს, ამ უკანასკნელს გონიერებისთვის რომ არ მოეხმო და უკან არ დაეხია, უნივერსიტეტისთვის ავტორიზაცია არ აღედგინა.**

მერედა რატომ მოხდა, რაც მოხდა: რატომ არ გათვალა იმან, ვისაც უნდა გეთვალა, მოუგდენათა ასე წარმართვის შესაძლებლობა?

აკი ბავშვობიდან გვასწავლიან ხალხურ სიბრძნეს – შეიდეჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერო.

გვასწავლიან, მაგრამ მაინც გაუზომავად ვჭრით და ვკერავთ.

არადა, რამდენჯერ მოგვხვდა ცხვირში!

აფხაზეთის ომში აფხაზმა კი არა, რუსმა დაგვაშარცხაო.

კი ასეა, მაგრამ სანამ იქ შეკითვანდებოდი, ხომ უნდა გაგეთვალისწინებინა, რომ აფხაზეთში რუსი არ გაბაირამებდა?

ვერ გავთვალეთ რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა და ლალად გადავვყვით ომში ცხინვალთან, სამაგიეროდ აქეთობისას თბილისადმე სული არ მოგვითქვამს.

ჩვენი დიდ სარდალი (უმალღესი მთავარსარდალი!) მიხეილ სააკაშვილი კი დაუღალავად გვაბოლებს, თუ როგორ ჰქონდა ჩაფიქრებული დიდ დილომთან თავდაცვის აუღებელი ზღუდის აგება

და კარსმომდგარი მტრის სწორედ თბილისთან განადგურება.

მაგრამ სხვებმა თუ არა, დაფეთებულმა დიდი დილმის მცხოვრებლებმა ხომ ნახეს სირბილით გულამომჯდარი, დემორალიზებული ქართული ჯარი რა „თავდაცვის ზღუდის აგებას იყო“?

მთავარსარდალს ალბათ უფრო კუჭუზოვის გეგმა ჰქონდა უზურში, თბილისის დათმობა და მერე წნორიდან შემოტევა, მანამდე კი მოსახლეობას პარლამენტის სპიკერის მოწოდებით ჩანგლები და შამფურები უნდა ეშიშვლა და რუსულ ტანკებს შეებოდა დედაქალაქის კარიბჭესთან, სანამ ხელისუფლება „წითელ ხიდს“ გადაირბენ, და დედანული ანად.

ასეთი სტრატეგები ჰყავდა, ასეთი სტრატეგია ჰქონდა „ნაციონალურ მოძრაობას“, ამიტომაც გვაქვს საქმე ალჩუხე. ვაითუ კვლავაც გაგრძელდეს ეს მედგარი ტრადიცია.

ძვირფასო ხელისუფლებავ, ამ საშინელ ეჭვს სიმწრით ამოვთქვამ, ხალხი მოლოდინით შემოგყურებს, ხალხს ეიმედები, ნუ გაუცრუებ იმედს.

მოგეხსენება, იმედი ყველაზე გვიან კვდება და როცა ისიც კვდება, დიდი სიცარიელის გარდა აღარაფერი რჩება, რითაც ახალი სახელმწიფოს აშენება იქნება შესაძლებელი, ყოველ შემთხვევაში შენი ამჟამინდელი მხარდამჭერების მონაწილეობით.

ჩვენ გვიანდა ხელისუფლების ყოველი სიტყვა იყოს კაჟივით მტკიცე, მართალი, გაუხრელი. ამ ბოლო ცხრა წლის მანძილზე იმდენი ყინულზე დანერვილი, ქარაქუცა დაპირება მოვისმინეთ, რომ იმის ხელახლა მონელება ნამდვილად ძნელი ასატანი და გადასატანია.

**იმის ნაცვლად, რომ ნაცმოძრაობა თითქმის კენჭით ინანივდეს ბოროტებთან, რაც ამ 9 წელიწადში თავზე დაგვათქრიალა, მოსულიერდა, წამოყველავა და შხამომრავლებული იკბინება.**

თუმცა, რას ერჩი. როგორ ვთქვა, მაგრამ თავისთვის მან ერთობ სწორი და მომგებიანი პოზიცია შეირჩია – შეტევა.

შეტევა თავდაცვის საუკეთესო საშუალებაა.

**სამაგიეროდ „ქართული ოცნება“ ირჯება ერთობ წამგებიანად, ფაქტობრივად თავს იცავს მხოლოდ.**

ეს ხალხში გალიზიანებას და გაურკვეველობას იწვევს – რაკი ნაცები ასე თავგამოდებით უტევენ, ალბათ რალაც სიმართლე აქვთო.

ჰოდა, მათ ცრუ სიმართლეს ყოველ წუთს, ყველგან, ყველგან უნდა დაუპირისპირდეს ხელისუფლების სიმართლე.

ოღონდ იქ სადაც ნაცები მართლები არიან (აქა-იქ, მეჩხერად), ნუ აიჩემებთ, გინდა თუ არა ჩვენი სჯობსო. ხალხი მშვენივრად ხედავს მტყუან-მართალს და სწორადაც განსჯის.

ალეკო ასლანიშვილი

### ალიან-ჩალიანი

#### იუსუფელის კაშხალი ქართულ ქვეყნებს ნაღავით ეშუქება

თურქული გამოცემა Hurriet Daily News უილკო ვან პერ-ჰენის სტატიას აქვეყნებს, სათაურით „იუსუფელი – უნიკალური ადგილი მოსახლეს უღებდა“.



საც ურჩევს. თუმცა, იქვე დასძენს, რომ ვინც ამ ძეგლების მონახულებას დაგეგმავს, უნდა იჩქაროს, რადგან 2018 წლის მაისისთვის ეს ძეგლები და მიმდებარე ტერიტორიები წყალქვეშ აღმოჩნდება. მათ გაანადგურებს იუსუფელის კაშხალი, რომლის მშენებლობაც სწორედ იმ დროისთვის დასრულდება.

როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს, შავი ზღვის ტერიტორიაზე მდებარე ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიულ ძეგლებმა პარსალმა და ოთხთა ეკლესიამ მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა და ამ ძეგლების მონახულებას სხვა ტურისტებსაც ურჩევს.

შტბერაშვილის ინფორმაციით, ყრილობაზე დასწრების მოსანვევებს შალვა ნათელაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ გარდა, ყველა პოლიტიკური პარტია მიიღებს.

**ლითუარის მოსახლეობამ რწმუნებულს ქარაბი აუქვდა**  
თუ შრბათის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურში მცხოვრებლებმა რწმუნებულს სამუშაო ოთახის კარები აუჭედეს. აქციის მონაწილეები რწმუნებულის და მისი თა-

იუსუფელის კაშხალი, - აღნიშნავს სტატიის ავტორი, - მსოფლიოში სიმალღით მესამე და თურქეთში ყველაზე მაღალი იქნება. თუმცა, კაშხალიდან გადმომაავალი წყალი წალეკავს ამ უნიკალურ, ისტორიულ ძეგლებსა და სოფლებს, - წერს სტატიის ავტორი.

#### ყოფილი ლიბოჩისკაბი „მეშარხანა ალიანს“ ქმნიან

რომბრც „ინტერპრენიუსს“, „ლეიბორისტული პარტიის“ ყოფილმა გენერალურმა მდივანმა სოსო შატბერაშვილმა განუცხადა, „მეშარხანა ალიანსი“ ოპოზიციური პოლიტიკური პარტია იქნება, რომლის ყრილობაზე 400 სტუმარია მიწვეული. მათ შორის ხელგონების მოღვაწეები, სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები.

„მეშარხანა ალიანსის“ პრიორიტეტებზე შატბერაშვილს არ უსაუბრია და მხოლოდ ის აღნიშნა, რომ ძირითად გუნდში მის გარდა კახაბერ ძაგანია, გაგა მთვარელიძე, დავით ვერძელი, პაატა ჯიბლაძე და კონსტანტინე გუგუშვილი იქნებიან.

შატბერაშვილის ინფორმაციით, ყრილობაზე დასწრების მოსანვევებს შალვა ნათელაშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ გარდა, ყველა პოლიტიკური პარტია მიიღებს.

#### ლითუარის მოსახლეობამ რწმუნებულს ქარაბი აუქვდა

თუ შრბათის მუნიციპალიტეტის დაბა ლაითურში მცხოვრებლებმა რწმუნებულს სამუშაო ოთახის კარები აუჭედეს. აქციის მონაწილეები რწმუნებულის და მისი თა-



ნაშემწების გათავისუფლებას მოითხოვენ. დაბა ლაითურში მცხოვრები მარინა აბაშიძის თქმით, კარები იმიტომ აჭედეს, რომ აღარ სურთ ლაითურს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები მართავდნენ.

– ცხრა წელი იყვნენ ხელისუფლებაში და ლაითურელებისთვის არაფერი გაუკეთებიათ. აღარ გვიანდა ქაობში ცხოვრება, მოვითხოვთ რწმუნებულად „ქართული ოცნების“ კოორდინატორი დაინიშნოს, – განაცხადა მარინა აბაშიძემ.

აქციის მონაწილე ანზორ აბაშიძის თქმით, დაბის მოსახლეობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს ერთი თვის წინ შესვდა და მოსახლეობის მოთხოვნა გააცნო. მისივე თქმით, ოზურგეთის გამგებელმა მოსახლეობის დაპირება არ შეასრულა და მოქმედი რწმუნებულის შეცვლა ისევ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, მხარდაჭერით იგეგმება. უფრო სწორედ, იმ ადამიანით, რომელიც საპარლამენტო არჩევნებამდე დაბაში ნაციონალურების კოორდინატორი იყო. აქციის მონაწილეები ოზურგეთის მაჟორიტარ დეპუტატ ზვიად კვაჭანტირაძესთან შეხვედრას მოითხოვენ.

ინტერპრესი

# პაპ, სოფელი..

ახსენებთ მთავრობამ სოფლის მეურნეობა საქართველოში სტრატეგიულ და პრიორიტეტულ მიმართულებად გამოაცხადა. აგროსამრეწველო სექტორში ფინანსების სერიოზული ნაკლებობა, რაც პირდაპირ აისახება წარმოების პოტენციალსა და ეკონომიკურ მაჩვენებელზე, ამიტომაც პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, ამ სფეროს ორგანიზატორებმა მიზნად დაისახეს უზრუნველყოფით გლვებში იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრების. საქართველოს მთავრობის 2013 წლის საგაზაფხულო პროგრამით განსაზღვრული „მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტის“ ფარგლებში ფერმერებს მთელი საქართველოს მასშტაბით დაურიგდათ ნომინალური სასოფლო-სამეურნეო ბარათები, რომლებიც მათ შეუძლიათ მიმდინარე წლის 1 აგვისტომდე შეიძინონ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონელი და ინვენტარი. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტომ, რომელიც უშუალოდ ახორციელებს ამ პროექტს, თანამშრომლობის ხელშეკრულება 300-ზე მეტ სასოფლო-სამეურნეო საქონლისა და ინვენტარის მიმწოდებელ მალაზიასთან გააფორმა. ფერმერებს, მათი საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად, შეუძლიათ ნომინალური ბარათის განაღდება სასოფლო-სამეურნეო საქონელსა და ინვენტარზე.

მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის საგაზაფხულო პროგრამა მთელი ქვეყნის მასშტაბით აქტიურად მიმდინარეობს. ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, ყველგან მასობრივად იხენება და მუშავდება მიწა, სუფთავდება არხები, იმისთვის, რომ სარწყავი წყალი ჰქონდეს მოსახლეობას. ჩვენ ვაკეთებთ ყველაფერს და იმაზე მეტს, რასაც დაგვირდით ხალხს. უპირველესად ვინც იმით, რომ უნდა აღორძინდეს სოფლის მეურნეობა და გლვებს საშუალება ჰქონდეს, ღირფულად იცხოვროს საკუთარ სოფელში. გარწმუნებთ, რაც დრო გავა, უფრო და უფრო აღორძინდება ქართული სოფელი და მთლიანად საქართველო“. და მართლაც, მთელი საქართველოს მასშტაბით მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში სასოფლო-სამეურნეო ბარათს 700 000-ზე მეტი ბენეფიციარი მიიღებს. პირველ ეტაპზე რიგდება კომბინირებული ბარათი, რომელიც მიწის ხვინსა და დადისკვა-გაფხვიერების სამუშაოებს ითვალისწინებს. მეორე ეტაპზე დარიგდება ნომინალური სასოფლო-სამეურნეო ბარათი, რომელიც განუთავსებელია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საქონლისა და ინვენტარის შესაძენად. ქვემო ქართლის, შიდა ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, კახეთის, იმერეთის, გურიის, სამეგრელოსა და აჭარის რეგიონებში ამ დროისათვის 560 494 მიწის მესაკუთრემ კომბინირებული, ხოლო 400 000 ბენეფიციარმა ნომინალური ბარათი მიიღო. ამ ბარათების გამოყენებით ქვემო ქართლში, შიდა ქართლში, მცხეთა-მთიანეთში, კახეთსა და იმერეთში 65 ათასი ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა მოიხნა.

ნათქვამია, წინილებს შემოდგომაზე ითვლიანო, მაგრამ ამ პროექტს უკვე ჰყავს როგორც მომხრეთა, ასევე სკეპტიკოსთა მთელი არმია. ზოგიერთები მიიჩნევენ, რომ ხარვეზების გამო, ადვილი შესაძლებელია, პროექტი ჩაიშალოს. სოციალურ ქსელებში კრიტიკოსები მომხრეებს სჭარბობენ... თუმცა, როგორც ამბობენ, გლახი, რომელიც მიწაზე სამუშაოდ არის გასული, ინტერნეტში საჭიროა ვერ მოიძიებს. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი გოგიტა ჩხეიძე ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ ცხელ საზე გაცვლით მეთია ისეთ ადამიანთა ზარები, რომლებიც მთავრობას ასეთი დახმარების გამო ემადლიერებიან: „შემოსული ზარების უმრავლესობა მადლობას გვიხდის ამ პროექტის განხორციელებისთვის. ბუნებრივია, არიან პრეტენზიული ადამიანები, რომლებიც უკმაყოფილებას გამოთქვამენ, თუმცა, ასეთთა რაოდენობა ძალიან მცირეა. რაც შეეხება იმას, რომ თითქოს პროგრამა ვერ გაამართლებს, აბსურდია. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ შედეგი მივიღოთ და წყალში არ ჩაგვეყაროს ჩვენი შრომა, მით უმეტეს, გლახის შრომა, რომელიც სერიოზულ დივიდენდებს ელოდება.“

ამის პარალელურად, გასულ კვირას ფერმერების ხელშეწყობის მიზნით მთავრობამ სხვა - „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის“ პრეზენტაციაც გამართა. სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის დახმარებით ფერმერები შეღავათიანი აგროკრედიტებს მიიღებენ. პრეზენტაციას ესწრებოდნენ აგროკრედიტის კომპლექსური თავმჯდომარე გიგლა აგულაშვილი, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ფონდის ხელმძღვანელი გიორგი მანაგაძე, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი გოგიტა ჩხეიძე და ყველა იმ წამყვანი ბანკებისა და საფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ვინც შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტშია ჩართული. სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით კირვალიძემ და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ შალვა ფიფია დეტალურად განმარტეს პროექტის მნიშვნელობა და საფინანსო ორგანიზაციებს მადლობა გადაუხადეს ამ მნიშვნელოვან პროექტში მონაწილეობისთვის. ბაზისბანკი, ბანკი რესპუბლიკა, ბანკი ქართუ, ვითიბი ბანკი, თიბისი ბანკი, ბანკი კონსტანტა, კორ სტანდარტ ბანკი, ლიბერთი ბანკი, პროკრედიტ ბანკი, საქართველოს ბანკი, ხალიკ ბანკი - თანახმანი არიან ითანამშრომლონ სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტში. პროექტი გახლავთ კოალიციის წინასწარჩვენო დაპირების მეორე ნაწილი - „შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი“. ეს ძალიან

მნიშვნელოვანია, რადგან სოფლის მეურნეობის სპეციფიკიდან გამომდინარე, სესხის აღება ამ სექტორში დასაქმებულთათვის საკმაოდ ძნელია. შესაბამისად, ახალი ინიციატივა დიდი დახმარება იქნება ყველა იმ ბიზნესზე ორიენტირებული სანარმოსთვის თუ ფერმერისთვის, ვისაც სურვილი აქვს საკუთარი საქმიანობიდან გამომდინარე აიღოს სესხი. როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრმა განმარტა: „ეს პროგრამა აადვილებს ფერმერთა ხელმისაწვდომობას ფინანსურ რესურსზე. სესხის გაცემა მოხდება კვალიფიცირებული განაცხადის საფუძველზე. პროექტი სამ კომპონენტად არის დაყოფილი, რათა ყველა ტიპის მომხმარებელს: ეს იქნება გლახი, ფერმერი თუ მსხვილი მწარმე, შესაძლებლობა ჰქონდეს, აიღოს სესხი. რაც მთავარია, საფინანსო ორგანიზაციები საკმაოდ მოტივირებული არიან და მეც საკმაოდ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. მჯერა, რომ პროექტი წარმატებით განხორციელდება, რაც ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას“, - განაცხადა მან. სააგენტოს მიერ საბანკო და საკრედიტო ორ-

## იაფი აგროკრედიტი ენოღება და წლიური 36 პროცენტით აბერ, ბერლით გვიპაჭუნებს თვალებს!

**სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტები და ოპიატურად გაჩენილი კითხვები**

**შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი**

**მინიმუმ 60 ახალი სანარმო**

**არაუმეტეს 3%-ის**

**არაუმეტეს 7 წლის**

**შეღავათიანი აგროკრედიტი**

სასოფლო-სამეურნეო სანარმოებისთვის

**1 მილიონ ლარამდე**

(მევიწიკალენტი აშშ დოლარში)

განიზაცია და სოფლის მეურნეობის სანარმოო საშუალებების მიმწოდებლებთან კონსულტაციების საფუძველზე გამოიკვეთა პროექტის სამი კომპონენტი: უპროცენტო სასაქონლო კრედიტი (განვადება) მცირე ფერმერებისთვის - 0%; შეღავათიანი აგროკრედიტი საშუალო და მსხვილი ფერმერებისთვის - არაუმეტეს 8%-ისა (საბრუნავი საშუალებების და მარაგების შესყიდვის დაფინანსება მოკლე ვადით) და შეღავათიანი აგროკრედიტი სასოფლო-სამეურნეო სანარმოებისთვის არაუმეტეს 3%-ისა (ძირითადი საშუალებების და ტექნოლოგიების დაფინანსება ხანგრძლივი პერიოდით).

6-თვიანი საპროცენტო სასაქონლო კრედიტი (განვადება) მცირე ფერმერებისთვის - 5000 ლარამდე თანხას ითვალისწინებს. ზოგადად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის უმეტეს ნაწილს აწარმოებენ ფერმერული (გლახური) მეურნეობები. ამგვარი მეურნეობების ტექნიკური აღჭურვა მწირია, ისინი ეფუძნებიან ძირითადად ხელის იარაღებს და, იშვიათად, დაქირავებულ ტექნიკის გამოყენებას; მათ არ აქვთ კრედიტის აღების შესაძლებლობა; სწორედ ამიტომ, მცირე ფერმერებისთვის მსგავსი პრობლემების გადაჭრის კარგი ინსტრუმენტს წარმოადგენს უპროცენტო სასაქონლო

კრედიტი. სააგენტოს შუამავლობით საფინანსო ინსტიტუტებთან და მომწოდებლებთან მოლაპარაკების საფუძველზე, ორგანიზაცია და მალაზიებს შორის ფორმდება ხელშეკრულებები, რომლის თანახმადაც, მალაზია უნერს ფერმერს შესასყიდი პროდუქციის საფასურის ანგარიშს (ინვოისს), რომელსაც ანაზღაურებს საფინანსო ინსტიტუტი. ამის შედეგად, ფერმერს (მწარმეს) საშუალება ეძლევა, პროდუქციის წარმოების სრული ციკლის განმავლობაში, გამოიტანოს მალაზიიდან მისთვის საჭირო სანარმოო საშუალებები (სათესლე და სარგავი მასალა, პესტიციდები, ვეტერინარპრეპარატი, გარდასასუქისა). სეზონის დასრულების შემდეგ ფერმერი (მწარმე) გადაუხდის სასაქონლო კრედიტს საფინანსო ინსტიტუტს, სესხის დამტკიცების მომენტიდან, ფერმერის მიერ მიღებული საქონლის ჯამური ოდენობის შესაბამისად, დამატებით პროცენტის დარიცხვის გარეშე. ფერმერს აღნიშნული სესხის (განვადების) დასაფარად 6 თვე ეძლევა. 6 თვეში თუ თანხას ვერ დაფარავს, მას დაემატება თვეში 3%.

8-პროცენტით 50 აგროკრედიტი საშუალო და მსხვილი ფერმერებისთვის 5000-100 000 ლარამდე თანხას გულისხმობს, არაუმეტეს 2 წლისა. საშუალო და მსხვილი ფერმერების შემთხვევაში, საქმე გვაქვს ჩამოყალიბებულ მწარმესთან (ფერმერთან), რომლის შემოსავლების ძირითადი ნაწილი აგროსაქმიანობაა. პროექტი ითვალისწინებს საფინანსო ინსტიტუტების მიერ დაწესებული სესხის საპროცენტო განაკვეთის გარკვეული ნაწილის დაფინანსებას სააგენტოს მიერ. იმისთვის, რომ პოტენციურმა ბენეფიციარმა ისარგებლოს შეღავათიანი აგროკრედიტით, იგი უნდა აკმაყოფილებდეს საფინანსო ინსტიტუტის მიერ ასეთი ტიპის სესხების გაცემის წინაპირობებს და წინამდებარე პროექტის მოთხოვნებს. ამ კომპონენტში სესხი გაიცემა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დასაფინანსებლად, შემდეგი მიზნობრივობით: სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საბრუნავი საშუალებების დაფინანსება (მათ შორის: ერთწლიანი კულტურების სათესი და სარგავი მასალის, პესტიციდების, სასუქების, არასანაშენე და მოზარდი პირუტყვის, ფრინველის, თევზის და მათი საკვების, ფუტკრის ოჯახის და სკების, ვეტ-პრეპარატების შეძენა, შრომითი რესურსების, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის და სატრანსპორტო საშუალებების დაქირავება, სხვადასხვა სახის ინვენტარის შეძენა); სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი საშუალებების დაფინანსება (მათ შორის: სანაშენე და პროდუქტიული პირუტყვის, ფრინველის და თევზის შეძენა, სათბურის აშენება, სარწყავი სისტემების მოწყობა).

3-პროცენტით 50 შეღავათიანი აგროკრედიტი სასოფლო-სამეურნეო სანარმოებისთვის მილიონ ლარამდე 7 წლის ვადით განისაზღვრება. და როგორც სამინისტროში ვარაუდობენ, მინიმუმ 60 ახალი სანარმოო შესაქმნელად. ეს იქნება: გადამამუშავებელი სანარმოები, ინფრასტრუქტურული სანარმოები, ინტენსიური ტიპის პირველადი სასოფლო-სამეურნეო სანარმოები. ამ კომპონენტით სასესხო თანხა განისაზღვრება 30 000 აშშ დოლარიდან 600 000 აშშ დოლარამდე, კრედიტის დაფარვის ვადა არაუმეტეს 84 თვე.

ეკონომიკის ექსპერტი დემურ გიორგულიძე პროექტს თავიდანვე ჩავარდნას უწინასწარმეტყველებს და თავის ფიქსიურს გვერდზე წერს: „მინისტრებს: გონებადაღებულ ერთი ადამიანი თუ არსებობს საქართველოში, რომელსაც სჯერა და შეუძლია ამისხნას, ამ ტერმინების უნგლორობიდან („პროდუქტი“, „პირველი, მეორე და მესამე პოზიციები“ და ა.შ. სხვა უაზრობები), - რა საარგებლობას მიიღებს სასოფლო-სამეურნეო ათათასობით ჩვენი მოქალაქე (გლახური მეურნეობების მფლობელები და ფერმერები)? ბანკებს მიაკითხავენ გლახები და ბანკები მათ სესხს მისცემს?! სასაცდლოა, ნამდვილად შემდეგ გარემოებათა გამო: საიდან აქვთ სოფელში ჩვენს გლახებს შემოსავლების ალტერნატიული წყაროები, ანუ ალტერნატიული მოქმედი ბიზნესები (რასაც ბანკები ითხოვენ)? საიდან მოხდება საგარანტიო რესურსის შევსება სრულიად დეკაპიტალიზირებულ ქართულ სოფელში, სადაც შესანიშნავი ქონებაც კი გაუფასურებულია თავის რეალურ ღირებულებასთან შედარებით? საიდან უნდა მოიღოს გლახებმა ის ბიზნესგეგმები, - სერიოზული და დასაბუთებული გათვლებით, რომელიც მისაღები იქნება ბანკისათვის? მაინცდამაინც 2-3 თვე უნდა გავიდეს, რომ დასაწყისშივე ჩავარდნილი ამ პროექტის უფარგისობა გამოჩნდეს?“. ექსპერტს ძალიან ბევრი თანამოაზრე აღმოაჩნდა. აი, რას წერს ერთ-ერთი მათგანი: „ფერმერს აღნიშნული სესხის (განვადების) დასაფარად 6 თვე ეძლევა. 6 თვეში თანხის ვერდაფარვის შემთხვევაში, მას თვეში 3 პროცენტი დაემატება, ანუ 36% წლიური. ვიღაც ბოროტმა გენოსმა იცის, რომ ქართველები ბუნებრივად ეწოდება და მოხერხებულობით არ გამოირჩევიან, ყოველი მეორე დაავიანებს ვალის დაფარვას და მიაძლებიან ეს მგლები ისევ ამ უძვირესი პროცენტებით საცოდავ გლახებს... ყველაფერი ანტიადამიანური ჩვენთან როგორ უნდა მოიგონოს? არადა, იაფი აგროკრედიტი ეწოდება და 36% წლიური აგერ, გვერდით გვიპაჭუნებს თვალებს!“

მართლაც ძალიან საინტერესოა, რა გაგრძელებას შეეგებნენ სოფლის მეურნეობის ასადორძინებლად შექმნილი პროექტები, ააშენებენ თუ დააქცივენ ისედაც დაქცეულ ქართველ გლახებს?!

თბა მოსია

SIC!

ლოპოტის ხეობაში, სოფელ ლაფანყურთან განვითარებულ მოვლენებში შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი მალაჩინოსნების, მათ შორის მინისტრის ყოფილი მოადგილის გია ლორთქიფანიძის მიმართ შესაძლოა, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი გამოიკვეთოს, — ამის შესახებ სახალხო დამცველის 2012 წლის ანგარიშშია აღნიშნული.

ანგარიშის მიხედვით, რომელშიც კონფიდენციალური წყაროების ინფორმაცია გამოყენებული და რომელიც „ინტერპრესმა“ გაავრცელა, შსს-ს მალაჩინოსნების პირების მითითებების თანახმად, 2012 წლის თებერვლიდან დაიწყო მოლაპარაკებები ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრებ ჩეჩნეთის ომის ვეტერანებთან, ჩეჩენ დევნილებთან და ჩეჩენთა წინააღმდეგობის მოძრაობის წარმომადგენლებთან.

— საქართველოს ძალადობრივი უწყებები ჩეჩენ მემორებს შპირდებოდნენ ე.წ. კორიდორის ჩეჩნეთში გადასახლებულად, საქართველოში წვრთნას, აღჭურვას და ჩეჩნეთში გადასვლისთვის ყოველგვარი პირობების შექმნას. მარტიდან დაიწყო ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან საქართველოში ჩეჩნების ჩამოსვლა. მათთვის თბილისის ზოგიერთ უბანში (ძირითადად საბურთალოს რაიონში) დაიქირავეს ბინები. საქართველოს შსს-ს მალაჩინოსნების დაპირების მიხედვით, ჩეჩნეთში ყოველთვიურად დაახლოებით 50-მდე მებრძოლი უნდა გადასულიყო, — აღნიშნულია ანგარიშში.

სახალხო დამცველისთვის მიწოდებული ინფორმაციის მიხედვით, ჩეჩნეთში საომრად გადასვლის იმედით ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან საქართველოში დაახლოებით 120 ჩეჩენი და ჩრდილო კავკასიური წარმოშობის მებრძოლები ჩამოვიდნენ.

— ჩამოსულ ჩეჩნებს აეროპორტში ხვდებოდნენ და დისლოკაციის ან საცხოვრებელ ადგილებზე გადასახლებას შსს-ს მალაჩინოსნებს. შსს-ს მალაჩინოსნების პირები ჩუქნიდნენ და უფორმებდნენ მათ იარაღს, აძლევდნენ მართვის მოწმობებს, სხვა საჭირო დოკუმენტებსა და ნივთებს. სახალხო დამცველს მიაჩნდა, ლაფანყურის სპეცოპერაციისას გარდაცვლილი ასლან მარგოშვილის სახეზე, საქართველოს შსს-ს მიერ 2012 წლის 23 ივლისს გაცემული იარაღის სარეგისტრაციო მოწმობა, „სტეკინის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღის შენახვის უფლებით, რაც ამ ოპერაციასთან საქართველოს ძალადობრივი უწყებების კავშირს მიანიშნებს, — აღნიშნულია ანგარიშში, რომლის მიხედვითაც, ჩეჩენი მებრძოლებისგან ჩამოყალიბებული ჯგუფის წევრები წვრთნას გადიოდნენ თბილისის მახლობლად მდებარე ვაზიანისა და შავნაბადას სამხედრო ბაზებზე.

— ჩეჩენი მებრძოლები დაეცვეს ჯგუფებად. ჯგუფების ინსტრუქტორები იყვნენ საქართველოს ძალადობრივი უწყებების თანამშრომლები, ასევე სხვადასხვა ომებში დიდი გამოცდილების მქონე ჩეჩენი მემორები. 2012 წლის ზაფხულში, ევროპიდან პანკისის ხეობაში ჩეჩნების დიდი ჯგუფის ჩამოსვლას პანკისის ხეობის მცხოვრებლებიც ადასტურებენ, — აღნიშნულია ანგარიშში.

სახალხო დამცველი, ინფორმირებულ წყაროზე დაყრდნობით, ანგარიშში აღნიშნავს, რომ ჩეჩენი მებრძოლების ჯგუფთან უშუალო კავშირი ჰქონდათ და მათთვის საჭირო ყველა საკითხს აწესრიგებდნენ შსს-ს მინისტრის მოადგილე გია ლორთქიფანიძე, შსს-ს მალაჩინოსნების სანდრო ამირიძე და ზურაბ მაისურაძე. „2012 წლის მარტიდან ჩეჩენი მებრძოლების წვრთნა დაგეგმილზე მეტსანს გაგრძელდა, რამაც ჯგუფის წევრებში თავიდანვე უარყოფითი შეფასებები გამოიწვია. ჩეჩენი მებრძოლები ითხოვდნენ ჩეჩნეთში გადასახლებულად შეპირებულ ე.წ. კორიდორის მიცემას მათთან კონტაქტში მყოფ შსს-ს მალაჩინოსნების პირებისგან. შსს-ს თანამშრომლები ჩეჩენ მებრძოლებს აძლევდნენ სხვადასხვა დაპირებებს და ასახელებდნენ ჯგუფის გადასვლის სხვადასხვა თარიღებს. ჩეჩენი მებრძოლების ნაწილი თანდათან კარგავდა ნდობას საქართველოს ხელისუფლებასა და შსს-ს მალაჩინოსნების მიმართ. ასლოვდებოდა 2012 წლის საპარლამენტ-



# ლოპოტის ხეობის საიდუმლოება

ლოპოტის ხეობაში, საქართველოში შიდა პოლიტიკური ვითარება თანდათან იძაბებოდა და ჩეჩენ მებრძოლებში გაჩნდა ვარაუდი, რომ შესაძლოა, დაგეგმილზე მეტი ხნით საქართველოში მათი გაჩერების მიზნი დაკავშირებული ყოფილიყო არჩევნებთან და საარჩევნო პროცესებში რაიმე სახით მათი გამოყენებასთან, — აღნიშნულია ანგარიშში.

აქვე აღნიშნულია, რომ ლოპოტის ხეობაში, სოფელ ლაფანყურში ე.წ. სპეცოპერაციამდე რამდენიმე დღით ადრე შევიდა ჩეჩენი მებრძოლების ჯგუფი. ისინი ლაფანყურის ხეობაში, კონფიდენციალური წყაროს ინფორმაციით, შსს-ს ანტიტერორისტული ცენტრის მიერ გამოყოფილი „პიკაპებით“ შევიდნენ და თან შეიტანეს ჯგუფისთვის საჭირო შეიარაღება, საკვები და სხვა საჭირო ნივთები. ჩეჩენი მებრძოლები ელოდებოდნენ ნებართვას ჩეჩნეთში გადასვლის შესახებ. — კონფიდენციალური წყაროს ცნობით, სავარაუდოდ, საქართველო-რუსეთის საზღვრისკენ ჯგუფის შესაძლო გადასვლის აღკვეთის მიზნით, ლაფანყურის სპეცოპერაციის დაწყებამდე ორი დღით ადრე, საქართველო-რუსეთის საზღვრის დაღესტნის მონაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე, საქართველოს სასაზღვრო და სპეციალური დანიშნულების ძალების რაზმები ვერტიფერებები გადასხეს.

გამოკითხულთა ვარაუდით, ამ დესანტის მიზანი იყო ჩეჩენი მებრძოლების ჯგუფის ჩრდილოეთის მიმართულებით გადასვლის აღკვეთა. ამის ბარაღეულად, ლაფანყურში დაბანაკებული ჩეჩენი მებრძოლების შეიარაღებული ჯგუფი ითხოვდა შეპირებული „კორიდორის“ მიცემას და საქართველო-რუსეთის საზღვრის დაღესტნის მონაკვეთის მიმართულებით გადასვლას. ბოლო მომენტში საქართველოს შსს-ს „კორიდორის“ მიცემაზე უარი განაცხადა და ჩეჩენ მებრძოლებს მოსთხოვა იარაღის ჩაბარება და უკან პანკისში ან სამხედრო ბაზებზე დაბრუნება. შსს წარმომადგენელთა ამ მოთხოვნამ დაძაბა ურთიერთობა ჩეჩენ მებრძოლებსა და საქართველოს შსს-ს თანამშრომლებს შორის. ჩეჩენმა მებრძოლებმა ლაფანყურის ხეობაში იარაღის დაყრახე უარი განაცხადეს, წყაროს ინ-

ფორმაციით, ჩეჩენი მებრძოლები უკვე აღარ ენდობოდნენ საქართველოს შსს-ს წარმომადგენლებს და ამის გამო მათ მოითხოვეს პანკისში დაბრუნება და მხოლოდ პანკისში დაბრუნების შემდეგ გამოცხადებდნენ თანხმობას იარაღის დაყრახე. დაძაბული ვითარების განმუხტვისა და ჩეჩენ მებრძოლებთან მოლაპარაკებების მიზნით შსს-ს თანამშრომლებმა შუამავლებს — ჩეჩნებისთვის ავტორიტეტულ ადამიანებს მიმართეს. ჩეჩენმა მებრძოლებმა შუამავლებს იარაღის ჩაბარებაზე უარი განუცხადეს. უარის შემდეგ საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა დაიწყეს ე.წ. ანტიტერორისტული ოპერაცია, რის შედეგადაც დაიღუპა რამდენიმე ჩეჩენი მებრძოლი და საქართველოს შეიარაღებული ძალების თანამშრომლები. აქვე ვერია, რომ ლაფანყურის ოპერაციისას გარდაცვლილი საქართველოს შეიარაღებული ძალების თანამშრომლები ჩეჩენი მებრძოლების ჯგუფს ლაფანყურში გადასვლის პირველივე დღიდან ასლდნენ.

ლოპოტის ხეობის ინფორმაციით, ლაფანყურში დაბანაკებული ჯგუფის ქართველი წევრების მოვალეობაში შედიოდა ჯგუფის სამედიცინო მომსახურება, მეგზურობა დაღესტნის საზღვრამდე და ინსტრუქტორები. სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილი ასლან მარგოშვილის მამა მერაბ მარგოშვილი სახალხო დამცველისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებაში აცხადებს, რომ მისი შვილი წვრთნას გადიოდა შავნაბადას ბაზაზე, სოლო სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილი საქართველოს ძალადობრივი უწყებების თანამშრომლები, წიკლაური და ჩოხელი, იყვნენ ამ ჯგუფის ინსტრუქტორები.

ომბუდსმენის წყაროს ინფორმაციით, სპეცოპერაციაში მონაწილეობდა ავიაცია. ავიაციაში გაუხსნა ცეცხლი ჯგუფის წევრებს. ბრძოლის შედეგად გარდაიცვალა შვიდი ჩეჩენი მებრძოლი, რომელთაგანაც სამი პანკისის ხეობის მცხოვრებელი იყო. წყაროს ცნობით, ამ ბრძოლიდან ცოცხლად გადარჩა 9 ჩეჩენი მებრძოლი, რომლებიც, წყაროსვე ცნობით, სპეცოპერაციიდან რამდენიმე დღეში საქართველოს შსს-ს წარმომადგენლებმა ვალეს სასაზღვრო გამშვები პუნქტის გავლით თურქეთში გააცილეს.

ამასთან, სახალხო დამცველი საეჭვოდ მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ სპეცოპერაციის დასრულების შემდეგ რამდენიმე დღის განმავლობაში ოჯახის წევრებს არ აძლევდნენ გარდაცვლილთა ცხედრებს, რომლებიც შემდეგ გლდანის ციხის ტერიტორიიდან გადასცეს.

— გარდაცვლილი მარგოშვილის და ქვეთარაშვილის მშობლებისა და ბალაკაშვილის ნათესავის განმარტებით, საქართველოს შსს-ს მინისტრის მოადგილე გ. ლორთქიფანიძე და შსს-ს მალაჩინოსნების პირი ს. ამირიძე მხოლოდ იმ პირობით დათანხმდნენ გარდაცვლილთა ოჯახის წევრებისთვის ცხედრების გადაცემას, თუ გარდაცვლილებს დაკრძალვდნენ იმავე ღამეს: დაკრძალვდნენ ჩუმად, დაკრძალვის ტრადიციული რიტუალის გარეშე და ოჯახის წევრებთან სამიმარზე არ უნდა მისულიყო ხალხი. გარდაცვლილთა ოჯახის წევრები იძულებული შეიქნენ, დათანხმებულიყვნენ შსს-ს მალაჩინოსნების პირების ამ მოთხოვნებს. 3 სექტემბერს, გვიან ღამით, გარდაცვლილთა ცხედრები გამოასვენეს სასჯელაღსრულების გლდანის დაწესებულების მორგოდან და გადასცეს ჟორჯიალას. დაკრძალვაზე დასწრების უფლება მხოლოდ გარდაცვლილთა მამებს მისცეს. დაკრძალვას დაესწრნენ შსს-ს მალაჩინოსნები. სპეცოპერაციის დროს გარდაცვლილი სხვა ჩეჩენი მებრძოლების ცხედრები თავდაპირველად დაკრძალეს აეროპორტის ტრასის სიახლოვეს მდებარე ე.წ. უბატრონოთა სასაფლაოზე. მოთხოვნის მიუხედავად, ცხედრებს კარგა ხანს არ გადასცემდნენ მათი ოჯახის წევრებს, — აღნიშნულია ანგარიშში.

სპეცოპერაციის შედეგად გარდაცვლილთა მშობლებისა და მათი ნათესავების ინფორმაციით, საქართველოს შსს-ს მინისტრის მოადგილე გ. ლორთქიფანიძე მათ სთხოვა, რომ თუკი გამოჩნდებოდნენ ლაფანყურის სპეცოპერაციის დროს ცოცხლად გადარჩენილი ჩეჩენი მებრძოლები, ისინი დაკავშირებოდნენ მას და იგი იღებდა ვალდებულებას ამ მებრძოლების საზღვარზე უსაფრთხოდ გადაყვანის შესახებ.

— ეს ჯგუფი მოგვიანებით მართლაც შსს-ს გააცილა ვალეს სასაზღვრო პუნქტამდე. ჩეჩენი მემორების ჩამოყვანამ, მათთვის მიცემულმა დაპირებებმა, შემდგომ დაპირებების შეუსრულებლობამ, მათი ასეთი ფორმით განადგურებამ და შემდეგ შეურაცხყოფელმა დამოკიდებულებამ გარდაცვლილთა ცხედრებისა და გარდაცვლილთა ოჯახის წევრების მიმართ, დიდი ზიანი მიყენა ქართულ-ჩეჩნურ ურთიერთობებს, — აცხადებს ომბუდსმენი, რომელიც აღნიშნავს, რომ, სავარაუდოდ, იკვეთება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე მუხლის პირველი, მეორე და მესამე ნაწილებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება და ასევე გარდაცვლილთა ოჯახის წევრების მიმართ სავარაუდოდ იკვეთება 151-ე (შუქარა) და 156-ე მუხლით (დევენა) გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი დანაშაულები. ომბუდსმენი პარლამენტს რეკომენდაციით მიმართავს, რომ შეიქმნას დროებითი საპარლამენტო დაპირებების კომისია, რომელიც გამოიკვლევს 2012 წლის აგვისტოს ბოლოს ლოპოტის ხეობაში, სოფელ ლაფანყურთან მომხდარ ფაქტს. სახალხო დამცველი, ასევე, მოუწოდებს საქართველოს მთავარ პროკურატურას დაიწყო გამოძიება საქართველოს შსს-ს მალაჩინოსნების პირების მიერ ჩეჩენი მებრძოლების გამოყენებით 2012 წელს უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნის შესაძლო ფაქტთან დაკავშირებით.

## ინფორმაცია

### სოციალური დახმარება 2 721 ოჯახს აღუდგება

სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელის ნოე ქინქლაძის განცხადებით, თებერვალში შემოსავლების სამსახურიდან მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე სოციალური დახმარება 17 781 ოჯახს შეუწყდა და შეუჩერდა. ნოე ქინქლაძის განცხადებით, დღეის მდგომარეობით, შეწყვეტილი დახმარების აღდგენის მოთხოვნით სააგენტოს 8 073 ოჯახმა მომართა. 2013 წლის პირველი აპრილის მდგომარეობით შეწყვეტილი დახმარება 2 721 ოჯახს აღუდგება, ხოლო შეჩერებული დახმარება — 905 ოჯახს, რაც საერთო რაოდენობის 20,4%-ს შეად-

გენს. 30 ოჯახის საქმე საგამოძიებო ორგანოებს გადაეცა, რადგანაც მათ მალაჩინოსნების უფიქსირებლობა; ისინი აცხადებენ, რომ რეალურად მათ შემოსავლები არ გააჩნდათ. როგორც ნოე ქინქლაძე აცხადებს, სააგენტო რეაგირებას აგრძელებს როგორც ზემოთ აღნიშნული შემთხვევების შედეგად შემოსულ განცხადებებზე, ასევე მოქალაქეთა ნებისმიერ განცხადებაზე, რომელიც კანონმდებლობით დადგენილი წესით მისაღებ დახმარებებს ეხება.

ინტერპრესი

დასაბრუნებელია, აღსადგინია

„ნაციონალური“ ვერაფერს ხედავდნენ საერთოს მეცნიერებებსა და განათლებას, თეორიასა და პრაქტიკას შორის და შეგნებულად აშორებდნენ ერთმანეთს. რითაც უმეცრებითა თუ წინასწარდასახული გეგმით ანგრევდნენ ერთსა და მეორესაც, რითაც სერიოზულ საფრთხეს უქმნიდნენ მომავალი თაობების განვითარებას.

2010 წლის დეკემბერში შაშვინმა ხელი მოაწერა ბრძანებას სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ოპტიმიზაციის შესახებ. რითაც დაინიშნა ამ დანებებულების ფაქტობრივი ნგრევა. „ოპტიმიზაციის“, სინამდვილეში კი ნგრევის პროცესს თავიდანვე აკრიტიკებდნენ მეცნიერები. იყო წერილები განათლების მინისტრის სახელზე, გოკა გაბაშვილისა თუ სხვათა მისამართით, მაგრამ ამოად. ექსპერტ პაატა კოლუაშვილის განცხადებით, მას შემდეგ, რაც „ოპტიმიზაციის“ ბრძანება გამოიცა, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებიდან აღარაფერი დარჩა. ზოგს შენობა გაუყიდეს, ზოგს დაუნგრეს, ზოგი გააუქმეს, ზოგიც სხვადასხვა ინსტიტუტებს შეუერთეს. ეს ოპტიმიზაციის პროცესი არ იყო, აცხადებენ ექსპერტები. უბრალოდ დაიბარეს ყველა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი და აიძულეს, შეერთებოდნენ სხვადასხვა ინსტიტუტებს. ურჩი დირექტორებს კი კვლევითი საერთოდ უქმნიდნენ.

მიუხედავად მრავალი ხელისშემშლელი ფაქტორისა, მეცნიერები მაინც განაგრძობდნენ მუშაობას, კვლევებს. 2011 წელს შაშვინის ბრძანებითა და ილიას სახელობის უნივერსიტეტის რექტორის, უმცირესობის იდეოლოგიის გიგი თევზაძის თაოსნობით დაიხურა უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტი. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგანაც ფსიქოლოგები ფსიქიატრების მხარდამხარ აცხადებდნენ, სააკაშვილის სახელისუფლებო ელიტა ორივე პროფილით მკურნალობას საჭიროებსო. დახურვას ხელი არ შეუშლიათ ინსტიტუტის ხელმძღვანელებმა, რომელთაც განწყობის თეორიის თანამედროვე მიღწევებსა და განვითარების პერსპექტივებს განიხილავდნენ. — აცხადებს ფსიქოლოგი თეა გოგოტიშვილი.

დაიხურა აგრარული მიმართულების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტები. ექსპერტ პაატა კოლუაშვილის განმარტებით, ევროკავშირის ხედვით თუ სოფლის მეურნეობის სამინისტროს პოლიტიკა არ არის დაფუძნებული კვლევებზე, ის არ არის სრულყოფილი სამინისტრო, ევროპაში ჩამოყალიბებულია ასეთი პარადიგმა — სოფლის მეურნეობა მეცნიერებაზე დაფუძნებული ინდუსტრიაა.

როდესაც ქვეყანას ენერგეტიკაში ამდენი პრობლემა აქვს, ენერგეტიკის კვლევითი ინსტიტუტის დახურვა გა-

რად უნდოდათ „ნაციონალურ“ სამეცნიერო კვლევები, როდესაც კომუნალური სოცხები

უმართლებლად მიაჩნია მის ყოფილ დირექტორს რევაზ არველაძეს.

გამონაკლისები სააკაშვილის მამისა და ბაქაშვილისთვის

„ნაციონალურის“ მიერ მეცნიერებისადმი აუცი დამოკიდებულების კარგი მაგალითი მოგვს თერმული წყლების დამოუკიდებელ ექსპერტს, მსოფლიო ასოციაციის წევრს გურამ ზარიძეს.

„საქურდოვეთერმია“ მრავალპროფილიანი სახელმწიფო სანარმო ოთხი საბუნალო ბალანსით, აწარმოებდა თერმული წყლებზე საძიებო საექსპლუატაციო ბურღვებს, სანარმო ბაზების, სატუმბო სადგურების და მომხმარებელად მისაყვან თბოტრასების კაპიტალურ მშენებლობას. მოპოვებული თერმული წყლების ექსპლუატაციასა და რეალიზაციას, ანალიტიკური ლაბორატორიის გამოყენებით სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებს. სტრუქტურაში შედიოდა 3 სანარმო ბაზა და 9 სარენაო უბანი.

სამმართველო მდებარეობს სპეციალურად აშენებულ ნ-სართულიან შენობაში (საბურთალოდან დიდუბის დამაკავშირებელ მონაკვეთზე). მაგრამ სააკაშვილის კლანმა მას თვლიდა დაადგა, „საქურდოვეთერმია“ იქიდან გამოასახლეს და უნიკალური შენობა მიზეზულ ფასად შეისყიდა „ნაცვების“ ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ბეჟუაშვილმა. ზარიძის ინფორმაციით ეს შენობა მთლიანად თბება თერმული წყლით, რომელიც მიენიჭება ეზოში მდებარე ქაბურღილიდან. შენობაში გათბობის ქსელი ისეა მოწყობილი, რომ იქედან ხდება თერმული წყლის განაწილება-მინიღება კერძო სტრუქტურებსა და მოსახლეობაზე.

დამოუკიდებელი ექსპერტი განმარტავს თუ რა საფეროებში გამოიყენებოდა თერმული წყლები — სასათბურე მიზნებისათვის, სანარმო ტექნოლოგიებში, მელორეობა-მე-

საქონლობა-მეფრინველობის ფერმებში, ნიადაგის გასამდიდრებლად, ბალნეოლოგიაში (ცაიშის სანატორიუმში, მენჯის დასასვენებელი სახლი, სამტრედიის კლინიკა, ხორგა, უჯარმის კლინიკა, თბილისის რესპუბლიკური საავადმყოფოს ბალნეოლოგიური საავადმყოფო, ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრი), რომელშიც წლების განმავლობაში ათასობით ადამიანი განიკურნა სხვადასხვა მიმე დაავადებებისაგან. ამჟამად არც ერთი ბალნეოლოგიური ობიექტი არ მუშაობს გარდა ორთაქალისა, სააკაშვილის მამის ხელმძღვანელობით მოქმედი ბალნეოლოგიური კურორტისა. როდესაც სხვა ბალნეოლოგიურებს ერთმანეთის მიყოლებით ხურავდნენ, უფროსი სააკაშვილის კურორტისათვის პატარაკაცი შვილს რემონტს აკეთებინებდნენ. აქ ტალახში გორაობით ემუქრებოდა პრეზიდენტი ოპოზიციონერ პარლამენტარ ჯონდი ბალათურისა, და სადაც შესვლა ძვირი სიამოვნებაა.

ზარიძე სინანულს გამოთქვამს, რომ ამხელა მნიშვნელობის სამმართველო გააუქმეს და თერმული წყლები მივიწყებულია, გარდა სააკაშვილის მამისა. ეს წყლები სხვა სიკეთესთან ერთად ქმნის სამუშაო ადგილებს. თუ მოხდება სათანადო ინფორმირება მისი უცხოელი ინვესტორებიც დაინტერესდებიან, რაც სასიკეთოდ წაადგება ქვეყანასა და მის მოსახლეობას — მიაჩნია დამოუკიდებელ ექსპერტს.

რა იხვეწება?

სამმართველოში თუ მეცნიერება არ აღდგა, ანუ ის, რაც ჩვენს ეკონომიკურ პროფილს განასახიერებს, არაფერი გამოგვივა — ამბობენ ექსპერტები. მათი აზრით, ჩვენ არ გაქვს იმის ფუფუნება, რომ უარი ვთქვათ მეცნიერებაზე. მეცნიერთა განმარტებით ამჟამად მუშაობა მიმდინარეობს საკანონმდებლო ბაზაზე. მათი აზრით, სექტემბრისათვის მზად იქნება კანონი ყველა სამეცნიერო ინსტიტუტის ავტონომიური სტატუსის აღდგენაზე. პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე ივანე კილუარაძის განცხადებით მათი მიზანია, რომ არც ერთი კვლევითი ინსტიტუტი და მეცნიერი დაჩაგრული არ დარჩეს. პროცესში მთლიანადაა ჩაბმული განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მინისტრ გიორგი მარგველაშვილის ხელმძღვანელობით.

ინიციატორებს წინ დიდი პრობლემები ელით. — დასაბრუნებელი და აღსადგენია შენობა-ნაგებობები, ინვენტარი, განადგურებული უნიკალური ლაბორატორიები, არქივები, საცავები და ა. შ. რაც ყველაზე მთავარია, ფინანსები. რაც მთავარია, თვლიან სპეციალისტები, აღდგენები სპონტანურად არ უნდა მოხდეს.

ზაზა ბილინოძე

ღია წერილი

აბსოლუტურად გაუგებარია თქვენი უარი გალასება „ენერჯის“ აღდგენაზე

მეხსრე არხის გენერალურ დირექტორს, ქალბატონ ლუბა ელიაშვილს

პირველ რიგში გილოცავთ, რომ ქართული ჟურნალისტიკის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, სხვებთან ერთად მოგენიჭათ ნიკო ნიკოლაძის სახელობის პრემია. ამ საპატიო ჯილდოს მფლობელი გახდა აგრეთვე 1992 წლის ქვეყნის ყველაზე პოპულარულ ჟურნალისტად დასახელებული, პირველი არხის საავტორო პროგრამა „ენერჯის“ ყოფილი წამყვანი მერაბ ბერაძე, რომლის შემოქმედების შესახებ, ბარე 50-ზე მეტი რეცენზიაა გამოქვეყნებული, სადაც ავტორები: გამოჩენილი მეცნიერები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, პროფესიონალი ჟურნალისტები და ეკონომისტები ერთხმად აღნიშნავენ ტელეკომენტატორის დიდ დამსახურებას ერის წინაშე და წუხილს გამოთქვამენ, იმის გამო რომ მისი პროგრამა „ვარდების რევოლუციის მშობიარობას“ გადააყოლებს.

მზის სხივებისგან ინთება ნათურა და ამ შუქზე ტარდება წირვა-ლოცვა, რაც ჭეშმარიტად ღვთის სამსახურია. იმ სასიკეთო საქმეების ჩამოთვლას, რაც ჟურნალისტს ქვეყნისთვის გაუკეთებია,



ერთი სტატია კი არა, ალბათ რამდენიმე გახვითაც არ ყოფილა, თუმცა, ესეც საკმარისია იმისთვის, თუ რატომ იყო ეს პროგრამა ესოდენ პოპულარული ხალხში.

ქალბატონ ლუბა! თქვენ როგორც პროფესიონალი და ჟურნალისტიკა კარგად იცით, თუ რა ძალა აქვს ცისფერ ეკრანს და ამიტომ, გულწრფელად გვეგონა, რომ იმ ტელევიზიებს შორის, რომლებიც ამ გადაცემით უნდა დაინტერესებულიყვნენ, „მეცხრე არხი“ პირველი უნდა ყოფილიყო, თუნდაც იმიტომ რომ ჯერ კიდევ 1992 წელს, როცა ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ჩვენს წელში გადატეხილ ქვეყანას მილიონობით დოლარის ღირებულების მანქანატრანსპორტები და კომბაინები გა-

მოუგზავნა საჩუქრად, მ. ბერაძე იყო პირველი, ვინც ამ თემაზე მოამზადა ვრცელი რეპორტაჟი და იგი მისი აქტუალობის გამო, სამჯერ გაიმეორა საქართველოს ტელევიზიაში.

აღსანიშნავია, რომ დღეს მთელი საქართველოს სატელევიზიო ქსელში არ არსებობს მსგავსი პროგრამა, რომელიც მხოლოდ მეცნიერების, გამოგონებებისა და მზის ენერჯის გამოყენებაზე მუშაობს და რომელსაც უდიდესი როლი შეუძლია შეასრულოს ქვეყნის ეკონომიკის განმტკიცებაში. სამწუხაროდ, ტელეკომპანიების უდიდესი ნაწილი თოქსოუებით, გასართობი პროგრამებით და სერიალებით აშტერებს საკუთარ მოსახლეობას. და როცა ქვეყანაში ამდენი მოუშუშებელი ჭრილობაა და ყველაფერს თავი გავენებოთ, მცირენალოვანი ბავშვები იღუპებიან შიმშილით, ტელეკომენტატორის რეპორტაჟები, შეიძლება ითქვას, წამალივით მოუხდებოდა საზოგადოებას.

რამდენადაც ცნობილია, არხი რომლის ხელმძღვანელობაც თქვენ დაგვეალბათ, ივანიშვილების ოჯახის კერძო საკუთრებაა და სწორედ ბატონი ბიძინა პირველ რიგში დაინტერესებული ქვეყნის ფეხზე წამოდგომაში. ამ ფონზე კი, აბსოლუტურად გაუგებარია თქვენი უარი, ან თუ გნებავთ წაყრუება ამ გადაცემის აღდგენაზე.

თუ თქვენ მ. ბერაძის ასაკის გამო იკავებთ თავს, შეგახსენებთ, რომ მსოფლიოში აღიარებული ტელეკომენტატორები ლარი კინგი და ასევე არანაკლებად ცნობილი სერგეი კაპიცა, არავის დაუწუნებია ასაკის გამო...

პატივისცემით ჟურნალისტიკის: ანზორ ბაბუხაძია, ზაურ ფიფია, ალიაო ასლანიშვილი, რუსლან რუსი, სპარტაკ ძოგუშია, ოთარ ხუციშვილი.

მერაბ ბერაძეს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ: ტელ: 214-23-05, 236-97-43 მობ: 599 57 19 43 energiatv@yahoo.com

ავიჯლავი — „კანავიტი“

და ეს ყველაფერი მასზე, ანუ ათასსახელიანი კაპი

კოლმეცნიერობა მრავალნაირია. ყველას რაიმე აქვს სასახელი და ცოტას მეც „კოლმეცნიერობა“. ცოტას, მაგრამ ამასობაში ზვერი დამიგროვდა... ჩვენი გაგრძელება იქნება „ჩვენი დაუსრულებელი სიმფონია“ თუ „დაუსრულებელი კავოფონია“, ჩვენი „პერპეტუუმ“ პრეზიდენტის მეტსახელი. „მუღაბას“ ავტორ, თქვენს თვალში (და ყურში) გაგხსნია.

სხვათა შორის, საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიაში, მგონი, არ ყოფილა მეფე, რომელიც ქვეყანას, ხალხს, ერს, მოსახლეობას ამდენნაირი ეპითეტით, „ფსევდონიმით“, მეტსახელით შეეკო. მე, აბა, რას ისტორიკოსი ვარ, მაგრამ, ალბათ, ასეა ეს.

ამრიგად, ვხსნი ყულაბას და მოგართმეთ, როგორც „მურაბას“, შესაბამის გრძელს და შთამბეჭდავ ნუსხას გრძელს (პირველი მეტსახელი უკვე წამომცდა...). გაუფრთხილდით თვალსა და გაუფრთხილდით ყურს. გარკვეულობისათვის: მე უბრალოდ თავი მოვეყარე წლების სიგრძეზე ამოკითხულსა თუ მოსმენილს, რამდენიმე საკუთარი „მიგნებითაც“ შევაჯავ სია და ისე გთავაზობთ...

მამ ასე, მიხეილ სააკაშვილი, ბედურული, „სამაგიეროდ“ თავისუფალი და დამოუკიდებელი საქართველოს მესამე პრეზიდენტი, ყველაზე გრძელი (ამაზეც...) და ყველაზე გრძელვადიანი, იგივე:

გახვილ პირველი, შადრევან პირველი, გიჟი სახურავზე (და სარდაფშიც...), დამამტყნებელი, დამფასადებელი, კორუფციამძლევი, მისი იმპალესობა, მისი უგრძესობა, მისი უბადლესობა (მსოფლიოს ქვეყნების პრეზიდენტებს შორის ხომ ბადლი არა ჰყავს), მისი უცრუესობა, მისი უბაქიესობა, მისი უგიჟესობა (ბევრთა და ბევრთა ცნობიერებას რომ ეკლავ ესობა), მისი უდემოკრატიესობა („უდო“ რომ ვერა და ვერ შეეფარდა), მიხეილ კერტისმკენეტი, მიხეილ გალაზიკეზული, მიხეილ განაკლიეზული, ნაცთა დამამშვენებელი, მიხეილ აღარმშენებელი, მიშკო სუშიშვილი, მიშო ფრაკიშვილი, ჰალსტუხლეჭია, მინამზობი, ცხვირიფხანია (ეს სამი შტრიხი მოვუნიშნე დიდი ხანია...).

გრძელი მართლაც გამოვიდა, როგორც ეკადრება კიდევაც მის სიგრძეს, ნუსხა (იმაზე გრძელი, ვიდრე მეგონა — 23-დასახელებიანი...), ხოლო რამდენად შთამბეჭდავი — სათანადო დასკვნა მკითხველისთვის მიმინდვია...

ბერილი ბალოძე

P. S. — პოსტ-ნაცში: ზე, ჩემო, ესე უსტარი პირველ ამილს დაინერა და გნებავთ, შესაბამის სურობადა ჩამითვალეთ... ბ. ბ. ბ-ს (ბრიჯიტ ბარდოს) ძველი თავგანსმცემელი...

# მკვიდრი მარადისობის...

ამ, მარტოვან ვინ გაავლო კვალი — ნათელი ჩვენს მესხ-ერებას, აი, მართლაც, ვინ გვასწავებს თავს გარდაცვალებიდან კარგა ხნის შემდეგაც უფროსი თაობის ადამიანებს (მეტადრე, პოეზიის მოყვარულთ) და, მაღლობა ღმერთს, ახალ-გაზრდებიც გაფაციცებით უსმენენ ხოლმე ათას ლეგენდად ქცეულ სიმართლეს ზაურ ბოლქვაძეზე — „სხვა კაცზე“, „სხვა პოეტზე“... სწორედ ამას გულისხმობდა, როდესაც ერთსერთო-ფიანი, განუყოფელი ლექსი ამოთქვა ზაურმა:

**მე პოეტი ვარ — მიწა ვარ, ცა ვარ!..  
მე პოეტი ვარ — სივრცე ვარ, დრო ვარ!..  
მომენატრება სიკვდილი — მოვალ!..  
მომენატრება სიცოცხლე — მოვალ!..**

რახან მის შესანიშნავ პოეტურ სტრიქონებს სწორად ვიყო-რებო, რახან მის უბადლო სუპრასიტყვასაც ჩაურთავთ ხოლმე საუბარში (იუმორი სომ მისი ცხოვრების ნაწილი იყო). ესე იგი, ზაური ცოცხალია, ზაური ჩვენს გვერდითაა.

ჩვენ გვერდითაა იგი ახლაც, როდესაც 80 წლისა უნდა გამხდარიყო...

\* \* \*

— ლომო! — ეძახდა იგი ნაცნობ-მეგობრებს სიკეთისა და სიყვარულის ნიშნად!

— ლომო! — ეძახდნენ მას ნაცნობ-მეგობრები, ანუ სიყვარულზე სიყვარულით უბასუსებდნენ. ამ ერთი სიტყვით შუქი, სიწმინდე, სიხალისე შეჰქონდა ზაურ ბოლქვაძეს ქართული მწერლობის დასებად დაყოფილ დიდ ოჯახში, მისი რედაქტორობით გამოძავალი ჟურნალის — „ნიანგის“ ვერცერთ ნომერს ვერ გადაშლიდით, რომ შიგ ლექსად თქმული, კეთილი იუმორით გამოთბარი სტრიქონები არ შეგვეხვედროდა ზაურ ბოლქვაძისა („ბათუ მელიასი“). ეს სტრიქონები ეძღვნებოდა მეგობარ მწერლებს, პოეტებს, ხელოვნების, კულტურის გამოჩენილ მოღვაწეთ... ყველას, ვინც საქართველოს სასიკეთოდ ოდნავ მაინც გარჯილიყო. იქნებ ამიტომაც შეგავსა სულმანთა ნოდარ დუმბაძემ — მისმა მოძღვარმა და სულიერმა ძმამ:

**ზარ უკვდავების მთესველი  
და სხვათა უკვდავყოფელი!  
თუ კაცო ღომი არ არის,  
გატანჯავს წუთისოფელი.**

\* \* \*

მზი „გრძელწამთარგამოვილი“, უმამოთა თაობას ეკუთვნოდა. საიცარი ნიჭიერებით დაჯილდოებინა ეს „ნაზამთრალი“ ბიჭები განგებას. დღეაუნევერსიტეტში, ერთ კურსზე აძღნი მწერ-ლური ტალანტი, მართლაც გასაკვირი იყო... აი, ნახეთ, თავის ერთ-ერთ ლექსში ტარიელ ჭანტურია „სიას“ კითხვობას: **გვეჭკობი — ვარ; ბოლქვაძე — ვარ; ბიბილური — ვარ; ჩარკვიანი — ვარ; ჭილაძე — ვარ; ჯაფარიძე — ვარ; ჭანტურია — ვარ...** მოგვიანებით ეს „სია“ — გასული საუკუნის სა-მოცარი წლებში უნივერსიტეტის „პირველი სხივიდან“ ფართო ასპარეზზე გამოხული თაობა — ქართული მწერლობის აფარგარდში ჩადგება, ანუ სრულიად განსხვავებულ სხივს შეისქენს ერთგულ სიტყვაკაზმულობას.

გადის დრო, წელი წელი მიჰყვება, უამხალხოდ უკვე წარ-მოუდგენელი უახლესი ქართული მწერლობის ისტორია, და ისევ დვთის ნებით, ჩვენდა სამწუხაროდ, ზოგი მათგანი ნელ-ნელა გვეცლება ხელიდან. ტარიელ ჭანტურიას „სიას“ მოიხმობს და უკვე მწუხრის „ზარსა“ სცემს. ჯანსუღ ჩარკვიანი:

**სულაკაური — არ გასლავარო,  
ფანჯიკიძე — არ გასლავარო,  
ბიბილური — არ გასლავარო,  
ბოლქვაძე — არ გასლავარო,  
ჩილაძე — არ გასლავარო...  
გაი, ძმობის ფესვი გადახმა,  
ძმებო, მენატრები, სადა ხართ!..**


ზაურ ბოლქვაძე „სიას“ 1997 წლის 23 ივნისს გამოაკლდა — 64 წლისა... დღეს, 2 აპრილს, იგი 80 წლის ვახდებოდა...

\* \* \*

შენიშნავთ, ვაჟო „ახალგაზრდა სტალინელის“ რედაქციაში ვაიცხებით ერთმანეთი. იქ ზაური პასუხისმგებელ მდივნად მუშაობდა. რედაქტორი კი ირაკლი ვეშაბიძე იყო. მომცრო თოხანში სწორი იყო მომსვლელი-წამსვლელი. ზაური „ყაზბეგს“ ან „რეკორდს“ ეწვოდა, თან მასალაებს ასწორებდა, ანდა სტამბიდან ამოტანილი გაზეთის რომელიმე გვერდს ჩაპირიკიტებდა. ერთხელაც გაზეთედ და ჩემი „ნაცოდვილარი“ ლექსები მიეუტანე (ვინ აღარ „ცოდვილობდა“ ფილოლოგიის ფაკულტეტზე). ჩაიკითხა, ეშმაკური დიმილით ამომხედა: „ამას დაბეჭდვა რად უნდა, ლომო, გადაწერე და გააფრცხლე ხალხში... თუცა, დაიცა, დაიცა!“... და ავტორებისთვის უკვე კარგად ნაცნობ თავის „მოთვარ“ ხერხს მიმართა: ხის მალაღ საფანქრზე დადო სახაზავი, ერთ მხარეს ამ სახაზავს დაადო საშლელი, მეორე მხარეს — რამდენიმე ფურცელზე გადაბეჭდილი ჩემი ლექსები. ზაური ამ „ხერხს“ სწორად იყენებდა. თუ საშლელს გადასწვნიდა ლექსები, ესე იგი მათი დაბეჭდვა შეიძლებოდა, თუ გადასწვნიდა საშლელი, ავტორს ლექსებს გაატანდა და უტყოდა: „ცოტაც წაიშეშე, ლომო!“... ამჯერად, ჩემმა ლექსებმა გადაწონეს საშლელი... რაღას იხამდა, დაიტოვა... რას არ მოეგონებდა მისი მახვილი გონება... სიცოცხლე, სიხალისე იყო მის გვერდით ყოფნა...

რა დღეში იყო თავისი პირველი წიგნის გამოსვლის წინ. „ღელვის დასაწყისი“ უნივერსიტეტის სტამბაში დაიბეჭდა. სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად სტამბის მუშა-მოსამსახურებმა რამდენიმე ათეული ცალი წიგნისა მაგარ ყდაში — ლურჯ ლიდერინში — ჩაუსვეს, სასაჩუქრედ დაგჭირებოდა... მეც მისასხივრა ეს წიგნი: „ჩემს ძმას — ვილიას“... წააწერა ლამაზად.

უნივერსიტეტის ცხოვრებაში მოვლენად იქცა „ღელვის და-საწყისის“ განხილვა. ხაქტო დარბაზს სავსე იყო სტუდენ-



# მომენატრება სიცოცხლე — მოვალ!..

ტებითა და პროფესორ-მასწავლებლებით, მასსივს, რა გულითადად ისაუბრა ზაურ ბოლქვაძის ელვარე ნიჭზე პროფესორმა გრიგოლ კიკნაძემ... სხვებმაც...

**არ შეიძლება — მამულმა გისმოს  
და არ გაუხრდებ მამულს შემწვილდემ!  
არ შეიძლება, ქართველი იყო  
და საქართველოს მტერთან შეშინდე!**

ეს სტრიქონები სწორედ პირველი წიგნიდანაა. ასეთი ერთგული სულისკვეთება, ასეთი ტემპერამენტი ახლავს ყოველ მის ლექსს — სამშობლოსადმი მიძღვნილს, უშუალო, ქართული კლასიკური პოეზიით ნასაზრდოებ პატრიოტულ ლირიკას.

პირველ წიგნში გამოჩნეულია „ღეღა, ზამთარი, შუაცეცხლი“ — მშვენიერი ციკლი ლექსებისა, რომელშიც ზაურ ბოლქვაძის პიროვნების, პოეტური ნიჭის ახალი წახანაგები იკვეთება. ეს არის სვედიანი ფიქრები მშობლიურ კუთხეზე — გურიასზე, სოფელზე, დედაზე...

ზაურ ბოლქვაძე იმ თითებზე ჩამოსათვლელ შემოქმედთა რიცხვშია, რომლებიც ახერხებდნენ სათქმელის გაბედულად თქმას (დღეს ვაადვლდა ყველაფერი):

**შენი ღვიძლი მიწა-წყალი  
ახატია სხვათა რუკებს!  
წარიტაცა ზოგმა ძალით,  
ზოგს მიჰყიდეს, ზოგს აჩუქეს!**

პირველი წიგნის გამოსვლიდან უკვე დიდი ხნის შემდეგ — 2003 წელს გამოცემული მისი შემოქმედების თითქმის სრული კრებული — „მე სიყვარული ვიყავ უთქმელი“ — ქვეშაირთად გვისატავს ზაურ ბოლქვაძეს — სიყვარული სამშობლოს წარ-სულისა და აწყობის უფრო მოძღვრავს, უნაზეს ლირიკოსს, უკეთილშობილეს, კასკასა იუმორით ვაფრთხილ პირდომილი-ან კაცს, რომელსაც საფიცრად გაეხანდა თავისი ოჯახი, უსაყვარლესი მუუღვე ნანა დარჩა და ქალიშვილი ელისო — დღეს უკვე სახელგანთქმული პიანისტი ელისო ბოლქვაძე. სწორედ ნანა დარჩიამ — შესანიშნავმა ლიტერატორმა, ჩვენმა დაიკომ და ელისო ბოლქვაძემ გამოსცეს ეს სრული კრებული. ქალ-ბატონი ნანა პატრონობს ახლაც, რა ვასაკვირი, ზაურის არ-ქივს, ბევრ დაუბეჭდავ მასალას და გამოსაცემად ამზადებს კიდევ-ნახას:

**როცა მე კუბოში ჩამაწვეწენ,  
როცა მე სახლიდან გამასვენებო,  
მთი და ცრემლები დამაწვეთე,  
მთი და სიცოცხლე გამასხენე!**

ანდროძე მისიონს:

**შვილო, ჩემზე ნუ იტირებ!  
განა მართლა მიწაში ვარ?!  
მზეს შეხედე! — იმ მზეში ვარ!  
ცას შეხედე! — იმ ცაში ვარ!  
იმ კაშკაშა ვარსკვლავში ვარ,  
გზა რომ უნდა გაგინათოს,  
გაქართველოს, გაამაყოს  
და იმედი გაგიმართლოს!**

ეს სტრიქონები (და კიდევ რამდენიმე ასეთი) სულ 1990-იან, საქართველოსთვის ბედურულ წლებშია დაწერილი. ის უკვე საამქვეყნოდ აღარ იყო, შესვედრისას, ჩვენთან, რედაქციაში ამოსვლისას, ნაძალადევი დიმილი მაინც ეფინა სახეზე.

არც „ლომი“ დავიწყნობა, ოლონდ, ის ძველებური სიხალისე დაკარგვოდა, სრულიად გამართლებულიყო მისდამი მიძღვნი-ლი შოთა ნიშნინიძის სტრიქონები:

— ღომო, როგორ ხარ? — მოგიკითხავენ  
და გვაბეჭებენ ლულზე ბიჭები.  
მასმინძლის უღელს თითონ ითავებ  
და ყველას იქით ებატიებო.  
ლომის პარიკი ბევრს შეუგვეთეს  
და მეტოქეებს ჰყოფენ კასტებად...  
არ გაგიკვირდეს: ღომზე უმეტეს  
ლომის ნიღაბი თუკი ფასდება...  
თავს გადააქნე უკმაყოფილოდ,  
ლომს ჯერ სიზმრები არ აგხდომია:  
— ცხოვრება თურმე ცირკი ყოფილა  
და ცირკის ღომი რაღა ღომია...

..და წავიდა... ნადრევადა... ჩვენი „ლომი“, ჩვენი განუყოფ-რებელი ზაური... მაგრამ, როდესაც მოვენატრებით, სომ გვანახულობს? ანუ თავისი უხადო პოეზიის კითხვისას, სომ გვიცოცხლდება და, სომ შემოაქვს ჩვენს სულებში უხარმა-ზარი მუსტი? იგი ცოცხალია ყველასათვის, ვინაც ქართული ლექსის ყადრი იცის, იგი ჩვენთან არის დღესაც, როდესაც 80 წლისა უნდა გამხდარიყო...

\* \* \*

რასამპრომპშია, უსაყვარლესი მამის ამ მოვონების დღე-ებს უნდა დასწრებოდა ელისო, აბა, სხვაგვარად ვით იქნე-ბოდა. პოდა, იგი უკვე რამდენიმე დღეა, პარიზიდან თბილის-ში ჩამობრძანდა. ჩვენმა საბამყო პიანისტმა, ევალებოდა და, თან ტელეფონდს მიულოცა 10 წლისთავი, რაც მოთავსია, რუს-თაველის თეატრში წარადგინა თავისი საქველმოქმედო ფონდ „ლირა“, რომლის საშუალებითაც მთელი საქართველოს მას-შტაბით მოხდება მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული პა-ტარების (ჯერჯერობით, პიანისტების) გზის გაკვალვა და დაფ-რთიანება. ფაქტობრივად, ეს საშვილოშვილი საქმე უკვე რამდენიმე წლის წინათ დაიწყო ელისომ, როდესაც აღმოაჩინა ქვეშა-რიტად ვირტუოზი ბავშვები, დღეს უკვე 9 წლისანა — ბარ-ბარე თათარაძე და ილია ლომთათიძე. საქველმოქმედო ფონ-დის დაფუძნების საღამოზე რუსთაველის თეატრის გადაჭე-დილი დარბაზის წინაშე გამოვიდნენ კიდევ ეს ნორჩი პი-ანისტები და დიდი მოწონებაც დაიმსახურეს. რა თქმა უნდა, იქაურობა დაამშვენა თავად ელისოს დიდოსტატობამ. საღა-მოს დაწყების წინ სცენიდან ფონდ „ლირას“ დაფუძნების მნიშ-ვნელობაზე ისაუბრა საქართველოს კულტურისა და ძველთა დაცვის მინისტრმა გურამ ოლიშარია, რომელმაც შემდეგ დარბაზს გააცნო საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბატონ ბშიძის იმპ-ნიშნის მისალმება:

„მივესალმები შესანიშნავ ინიციატივას, რომლითაც და-არსდა საქველმოქმედო ფონდი „ლირა“, ვფიქრობ, ეს ერთ-ერთი ნაბიჯი იქნება ნიჭიერი ახალგაზრდა პიანისტების გა-მოსავლენად და მათ სელსისწავლობად. მაგლობა მინდა, გა-დაფუძნად ამ ფონდის დაარსებებს ინიციატორს, დიდ პი-ანისტსა და საზოგადო მოღვაწეს ელისო ბოლქვაძეს, რომ-ლის თაოსნობით შექმნილი ფონდი, ბევრ ჩვენს ნიჭიერ ახალ-გაზრდას საშუალებას მისცემს გაიფრეს საერთაშორისო ას-პარეზზე და შორს გაიტანოს საქართველოს სახელი. მეჯე-რთა, ამ ფონდს გამოუჩნდებიან გულშემატიკურები და საკუ-თარ წვლილს შეიტანენ ჩვენი ნიჭიერი ახალგაზრდა პი-ანისტების დახმარების საქმეში, რითაც კარგ სამსახურს გაუწევენ ქვეყანას და მის მომავალ თაობას“.

...ელისო ბოლქვაძე ამ საღამოს გამართვაში გაწეული დახმა-რებისთვის დიდად მაღლობელია კულტურის სამინისტროსი, თბილისი ბანკისა, რუსთაველის სახელობის თეატრის... მოთავ-არი იყო დაფუძნება, აწი, ნელ-ნელა, სამშობლოს მომავალზე მოფიქრალი ადამიანების სელსწავლობით ფონდი „ლირა“ კე-თილ საქმეებს აღასრულებს, ხოლო ფონდის ფულისნამდგმელსა და თოსანს ელისო ბოლქვაძეს წუთითაც არ დატოვებს სიყვარული მამის ანდრეძი:

**შენი იმედით გვედები, იცოდე  
და ქვეყანაზე გტოვებ ნათელ სხივს!..  
სხვა არაფერო — შენი სიცოცხლე  
არის, ელისო, ჩემი ანდრეძი!**  
დალოცვაც მაღლიანი იცოდა.

ვილიან მარდალივილი

**დახმარება**

## მხატვართა წვლილი

ბასულ შაბათს სას-ტუმრო „თბილისი მე-რიოტის“ საგამოფენო დარბაზ „ზარდენში“ გამართა ქართველი მხატვრების ნამუშე-ვართა გამოფენა-გა-ყიდვა, რომელშიც 46 მხატვარი მონაწილე-ობდა. მათი 50 ნამუშე-ვარი უცებ გაიყიდა, რაც გამოიწვია თავად გამოფენის მიზნებმა — მძიმე ავადმყოფმა გიორგი ყორ-ღანაშვილმა, რომლის გადარჩენაში თითქმის მთელი სა-ქართველო ჩართული. ეს იყო ქვეშაირითად უნიკალური აქცია, ესწრებოდა უამრავი სტუმარი, შემოსული თანხა მთლიანად გადაეცა ავადმყოფის ოჯახს.

**ტექსტი და ფოტო ელგა უჯა ნადარაძისა**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ონიშენკოს წარმოებადგენილება საქართველოში შემოწმება განაახლეს

დაიწყო მეორე, დასკვნითი ეტაპი რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობის წარმომადგენლების მიერ ქართული ალკოჰოლური პროდუქციისა და მინერალური წყლების მწარმოებელთა შემოწმებისა ემბარგოს შესაძლო გაუქმების შესახებ. რუსეთის 2006 წლიდან იყო დაწესებული რუსეთში მათს მიწოდებაზე. 1 აპრილიდან ხუთი დღის განმავლობაში ექვსი რუსეთში ექსპორტიორი კომპანია დაიწყო მონიტორინგის დასაწყისი.

სხუთი ქარხანა რაჭაში, ოთხი გორში, ერთი - სამეგრელოში, დანარჩენები - კახეთში, - განაცხადა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა ლევან დავითაშვილმა. - ძირითადად ეს პატარა კომპანიებია. ცნობილ მწარმოებელთა უმრავლესობა უკვე ინსპექტირებული იყო ექსპერტების პირველი ჯგუფის მიერ თებერვლის ბოლოს.

მთლიანად განაცხადები სურვილით - დაბრუნდნენ რუსეთის ბაზარზე - გააკეთა 93 ქართულმა კომპანიამ, მათგან ოთხი მინერალურ წყალს უშვებს, დანარჩენები - ღვინოს. რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობის წარმომადგენლებმა პირველი ვიზიტის დროს დაათვალიერეს ორი ქართული ლაბორატორია, რომლებიც პროდუქციის ხარისხს ამოწმებენ და 42 საწარმო შედეგად რუსეთში მწვანე შუქი აუნთო ალკოჰოლის 36 ქართველ მწარმოებელს და მინერალური წყლების 4 კომპანიას.

იმის შესახებ, თუ როგორი იქნება მეორე შემოწმების შედეგები, ლევან დავითაშვილი პროგნოზებს არ აკეთებს. მისი სიტყვებით, რამდენიმე კომპანიამ 93-დან თავად წაიღო უკან თავდაპირველი განაცხადები, ეტყობა, იგრძნეს, რომ კონტროლს ვერ გაივლიდნენ.

**„ქინძარაულის მარნა“ და კიდევ ორმა ქართულმა ფირმამ რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობის სამსახურში რეგისტრაცია უკვე გაიარეს**



სააგენტოს ხელმძღვანელმა გვაცნობა, რომ რეგისტრაცია რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობაში უკვე სამმა კომპანიამ გაიარა. ნებართვა მიწოდებულა მხოლოდ „ქინძარაულის მარნა“, „დუგლაძის ღვინის სახლმა“ და „ალავერდმა“. - ეს კომპანიები ყველაზე ოპერატიული აღმოჩნდნენ, - გვითხრა დავითაშვილმა. - დანარჩენები ამზადებენ დოკუმენტაციას. ახლა მათ უნდა მოილაპარაკონ რუს პარტნიორ- დისტრიბუტორებთან, მიიღონ სააქციო მარკები და გაგზავნონ რუსეთში სამრეწველო პარტიები. რუსეთის მხარე, თავის მხრივ, აცნობებს საბაჟოებს, რომ მათ გამოატარონ ქართული პროდუქცია.

რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობის ხელმძღვანელმა გვაცნობა, რომ რეგისტრაცია რუსეთის სამომხმარებლო ზედამხედველობაში უკვე სამმა კომპანიამ გაიარა.

ლობის ხელმძღვანელმა გენადი ონიშენკომ ადრე განაცხადა, რომ რეგისტრაცია აგავლილ ქართულ კომპანიებს აქვთ შესაძლებლობა, შეიტანონ რუსეთში და ივაჭრონ იქ პროდუქციის 40-ზე მეტი ნიმუშის პროდუქციით, რომლებიც შეტანილია რეესტრში. რუსეთის თაროებზე ქართული პროდუქცია გაჩნდება უკვე აპრილში. დავითაშვილს მიაჩნია, რომ ერთი წლის განმავლობაში საქართველო შეძლებს, გაყიდოს რუსეთში 8-დან 10 მილიონამდე ბოთლი ღვინო და კონიაკი. ეს დაახლოებით 4-ჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე ემბარგომდე იყო.

თავისი კონიაკებით ცნობილი სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილის“ მთავარმა ტექნოლოგმა დავით აბოიანიძემ ჩვენ განაცხადა, რომ ეს კომპანია „ირჩევს თავის პარტნიორს რუსეთში“.

ექსპორტს განვაახლებთ ერთი თვის განმავლობაში, - თქვა მან.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში ჩვენს გაზეთს აცნობეს, რომ რუსეთის ბაზარი ქართული პროდუქციის გასაღების შესაძლებლობას გააფართოებს, მაგრამ კომპანიებმა აუცილებლად უნდა მოახდინონ თავისი საექსპორტო რესურსების დივერსიფიცირება.

თავის მხრივ, საქართველო 1 აპრილიდან აფართოებს მოლაპარაკებას ემბარგოს გაუქმების შესახებ. მოსკოვში გაიგზავნა დელეგაცია მწვანე ღვინის, ყველის, ბოსტნეულის, თევზის, თაფლის მწარმოებლების განახლების შესახებ. მას სათავეში უდგას სოფლის მეურნეობის სამინისტროს სურსათის ეროვნული სააგენტოს მეთაური ზურაბ ჩეკურიშვილი. საქართველოს იმედი აქვს, დააბრუნოს ეს პროდუქცია რუსეთის დიდ ქალაქებში მაისში.



## დედაიჩის ზურგზე



მარცხა მონიშნა რუსეთის ფინანსთა მინისტრის სერგეი შტროგოვის განცხადებით, რომელიც 4,4 მილიარდ დოლარზე, რაც ლამის არ ჩაიშვალა კორუფციული მძვინვარების გამო.

ზადდა მთლიანად პარაფირება განახლებული შეთანხმებისა, რომელიც მოიცავს მძიმე და საშუალოდ მძიმე ტექნიკის იმედი თანხაზე, რაც გათვალისწინებული იყო წინა კონტრაქტში. მაგრამ ახალი შეთანხმება „უფრო ტექნოლოგიურია“. ერაყმა მოახდინა კონცენტრირება იარაღზე სამხედრო საბაჟო ძალებისთვის, მათ შორის შევლადიანებისთვის, მალაი სიზუსტის ხელსაწყოებისთვის, აღნიშნა წყარომ.

სეულმა მოამზადა წინმსწრები დარტყმის გეგმა კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში, სადაც მიმდინარეობს მიტინგები ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სახმრეთო კორეაში თავდასხმებისთვის.



სამხრეთი კორეის თავდაცვის სამინისტრომ მოამზადა „აქტიური შეკავების“ გეგმა, რომელიც შეიარაღებულ ძალებს ნებას აძლევს, მოახდინონ წინმსწრები დარტყმები კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაზე გარდაუვალი სარაკეტო-ბირთვული დარტყმის ნიშნების გამოჩენისთვის. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერი მიდის ვაზნაჯზე და არ არის გამოჩინული ფატალური შეცდომების შესაძლებლობანი.

ვინაშე უფლის აპოლიტონი ხელში ჩაიგდო ნარკომაფიის თვითმფრინვაში



ბოლივიის ეროვნული გვარდის ანტიარკოტიკული სამსახურის ქვედანაყოფის ნადავლი გახდა აგრეთვე ოთხი ავტომატური შაშხანა არმიული ნიმუშისა და რადიო გადამცემი. აღმოჩენილია აგრეთვე საიდუმლო ასაფრენ-დასასჯდომი ზოლი.

აშშ-მა იაპონიიდან სახმრეთო კორეაში გადამისროლა გამანადგურებელი F-22

კორეის რესპუბლიკაში მიმდინარეობს ამერიკა-კორეის სწავლება, რომელიც მონაწილეობისთვისაც მიწვეული არიან სახმრეთო ჯარები, სამხედრო-საბაჟო და სამხედრო-საზღვაო ძალები. კერძოდ, მანევრებში მონაწილეობენ ბომბდამშენები F-52 და F-2. სწავლება 30 აპრილამდე გაგრძელდება.



# ლიანა პატარკასიშვილი: „ბერეზოვსკის მხოლოდ იურიდიული საშუალებით ვაკონტაქტდებით“

**ბარდაცვლილი ქართველი ბიზნესმენის ბადრი პატარკაციშვილის შეიღობა ლიანა პატარკაციშვილმა ამერიკულ გამოცემა „ფორბსთან“ გარდაცვლილი რუსი ბიზნესმენის ბორის ბერეზოვსკის და მისი ოჯახის ურთიერთობაზე ისაუბრა.**

**„იმპერნი“ აღნიშნული ინტერვიუს თარგმანს გთავაზობთ.**



**რომელი მიიღო ბორის ბერეზოვსკის გარდაცვალების ფაქტი?**

- სიკვდილი ყოველთვის ტრაგედიაა. მე გულწრფელად თანადევგრძნობ და დღუპულის ოჯახის წევრებს.

**ურთიერთობა თქვენს ოჯახებს შორის უკანასკნელ პერიოდში გათვალისწინდა. თქვენ ან თქვენი ოჯახის წევრი ბოლოს როდის ესაუბრეთ მას?**

- უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენი ურთიერთობა მხოლოდ ადვოკატების საშუალებით ხდებოდა. ბოლოს ჩვენ მას და აბრამოვიჩს სასამართლოზე შევხვდით. სასამართლოზე ის ჩვენ არ მოგვესალმა. მხოლოდ სასამართლოს მსვლელობისას ვესაუბრეთ ერთმანეთს, ისიც ფორმალურად. ხოლო უკანასკნელად მე ის შემოდგომაზე ლონდონში ვნახე, როდესაც ჩვენი ოჯახის ბიზნესის საკითხი წყდებოდა.

**ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ, ბერე-**

**ზოვსკის დიდი ხნის განმავლობაში ჰქონდა დავა დედოფანთან, ინა გუდაგაძესთან. ბოლოს მოაწესრიგდა ურთიერთობა?**

- დიას, ის მეც, დედაჩემსაც და ბადრის დედასაც ედავებოდა. შემოდგომაზე ჩვენ შევეთანხმდით და ბერეზოვსკიმ ჩვენი ოჯახის აქტივების მიმართ გამოთქმული ყველა პრეტენზია უკან წაიღო.

**სიკვდილის წინ ბერეზოვსკიმ განაცხადა, რომ ის ბადრისთან დამოკიდებულებაში შეცდა. რატომ გაიფარნენ მამათქვენი და ბერეზოვსკი ცხოვრებასა და ბიზნესში? მამათქვენი გაითხრათ, რა მოხდა?**

- ჩვენ, რა თქმა უნდა ვიცოდით მათი ეკონომიკური გაყრის მიზეზი. ბორის ბერეზოვსკის პოლიტიკური აქტიურობა არ აძლევდა მამას საშუალებას მშვიდად ეკეთებინა ბიზნესი. მამა ხშირად საუბრობდა ხელიდან გაშვებულ საშუალებებზე და გა-

ნიცდიდა, რომ რუსეთში დაბრუნება არ შეეძლო. მით უმეტეს აქტივების ბადრის კონტროლის ქვეშ გადაცემის შემდეგაც, ისინი მეგობრებად რჩებოდნენ. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ბორის ბერეზოვსკიმ მამაჩემის საფლავი ორი წლის წინათ მოინახულა. მე ვფიქრობ, ეს კიდევ ერთი მტკიცებულებაა.

**სამშაბათს „რუსეთის პირველზე“ გავიდა დოკუმენტური ფილმი ბორის ბერეზოვსკის „პორტრეტის შტრისები“, რომლის შემდეგაც გაიმართა განხილვა. განხილვისას რამდენჯერმე გაიფიქრა მოსაზრებამ, რომ მისი შესაძლო მკვლელობის დამკვეთად თქვენი ოჯახი უნდა მოიხაზრებოდეს. ეს ფილმი ნახეთ?**

- არა.

**განხილვისას კორესპონდენტმა ანდრეი კონდაშოვმა განაცხადა, რომ ერთ-ერთი ვერსიით, რომელსაც ბრიტანული პრესა ავრცე-**

**ლებს, ბერეზოვსკის მოკვლა „კანონიერ ქურდებს“ შეეძლო, რომლებიც ძალიან გაბრაზებულნი იყვნენ ბერეზოვსკიზე ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების შემდეგ. მან ასევე განაცხადა, რომ იურიდიული განცხადებით, ბერეზოვსკის სიკვდილი ყველაზე მომგებიანი პატარკაციშვილის ოჯახისთვის იყო. ამასთან დაკავშირებით თქვენი აზრი მაინტერესებს.**

- მსგავსი განცხადების კომენტირება ჩემთვის რთულია, რადგან აბსურდია. შემოძლია იგივე გავიმეორო, რომ შემოდგომაზე ჩვენ შეთანხმებას მივალნიეთ და დავზავდით.

**რა რეაგირება მოახდინებთ აღნიშნულ ბრალდებაზე?**

- ჩვენ ამ საკითხს იურიდიულ-თან ერთად შევისწავლით და ამის შემდეგ მივიღებთ გადაწყვეტილებას.

**თქვენ იცოდით, რომ ბორის ბერეზოვსკის ფინანსური კრიზისი და დეპრესია ჰქონდა?**

- ჩვენ უზუსტად იგივე ვიცოდით, რასაც მედია ავრცელებდა. ჩვენთვის ცნობილი იყო, რომ აბრამოვიჩთან სასამართლოს წაგების შემდეგ ბერეზოვსკის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად დაზარალდა.

**თუ მას ლონდონში დაგკრძალავენ, უკანასკნელ გზაზე გასააცილებლად მისვალთ?**

- ინგლისში დაკრძალვაზე მონვევაა მიღებული. თუ დამპატივებენ, მივაღ.



მხვედრა ცნობილ ადამიანთა შვილებთან

– მამამისი პროვინციებს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ცოტა უცნაური და თანაც არადამოუკიდებელი მეთოდი სომ არ აარჩევინებს? თუ 1991 წელს აფხაზები და ოსები რუსეთისგან დამოუკიდებლობას უჭერდნენ მხარს, ერთ წელიწადში ისევე დამოუკიდებულებაში ყოფნა როგორღა „მოინდომეს“?

– იმიტომ, რომ გამასახურდიამ მათი ავტონომია გააუქმა.

– სამხრეთ ოსეთის ავტონომია უზენაესმა საბჭომ ცხინვალის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ გააუქმა...

– სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთს აღარ უნდოდათ პროვინციებად ყოფნა: მათ თავისი აფხაზური და ოსური დამოუკიდებლობა მოინდომეს. მე მახსოვს, როცა აფხაზეთში (სამხრეთ ოსეთში არ ვყოფილვარ) 1991 წლის რეფერენდუმამდე ვიყავი, ქართველებსა და აფხაზებს შორის შეტაკებები იყო და ისინი საკმაოდ ხანს გრძელდებოდა. ია, თქვენ ქართველებმა, რეალობა უნდა აღიაროთ. ამერიკაში ბევრი ქართველი პოლიტიკოსი ჩამოდის, მაგრამ მათთან საუბარი ძნელია. საქართველოს დაუჯინია, რომ ამ პროვინციებს დამოუკიდებლობის უფლება არ აქვთ, მაგრამ მათი დამოუკიდებლობა უკვე შედგა. საქართველო დამოუკიდებელია, იგი აღარაა საკავშირო რესპუბლიკა ანუ რუსეთის იმპერიის პროვინცია. ახლა კი აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთია დამოუკიდებელი. გიყვართ თუ არა ისინი, ეს უკვე სხვა საქმეა.

– ანუ თქვენ რუსეთის „ძმურ“, თანაც პასპორტიზაციულ-ჩეკისტურ დახმარებას ვერ ხედავთ...–

– ეს ზღაპრებია, თითქოს აფხაზებს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში რუსეთის კა-გე-ზე ეხმარებოდა. ჩვენ ხომ ამერიკაში ვართ, ია, და არა საქართველოსა და რუსეთში, რომ ასეთ აბსურდულ თემებზე ვისაუბროთ?

– რა არის უჩვეულო რუსი ჩეკისტების ღვანულზე საუბრისას? ჩვენთვის დატრიალებული უბედურების შემდეგ, რა, რუსეთი ჩვენებს ვერ იყენებდა?

– ეს ზღაპრებია ჯეიმს ბონდებზე და ძლიერ კაგებეშიკებზე.

– თქვენ სათანადოდ არ აფასებთ კაგებეს. რუსეთი ვერ შეეგუა იმას, რომ მისმა საყვარელმა ქართველებმა განცალკევება მოინდომეს...

– ჰო, მაგრამ იმისთვის, რომ ხაჭაპური და აგემოვნო, სულაც არაა აუცილებელი ამისთვის ხაჭაპურის მწარმოებელი ქვეყანა დაიპყრო. ბატონო სერგეი, როგორც კენებოთ ისე უწოდებთ ფაქტებს. ამის გამო მათი არსი არ იცვლება.

– აფხაზეთის დამოუკიდებლობისთვის ჩრდილოეთ კავკასიელები ბრძოდნენ, იქ ბასაევი ჩავიდა და სხვებიც. ანუ ის ხალხი, რომელიც მოსკოვიდან არ იმართებოდა. შეიძლება დღეს თავი მოიკატუნოთ, რომ მოსკოვმა იმიტომ გაიმარჯვა იქ, რომ თავისი ჯარი გაგზავნა. ეს ხომ მართალი არაა. ვიცით, რომ შევარდნაძე რუსმა საზღვაო ქვეითებმა გადაარჩინეს, როცა მას აფხაზეთში ალყა შემოარტყეს. სოხუმიდან იგი რუსული ვერტმფრენით გაამგზავრეს და საქართველოში ჩაიყვანეს.

– ბასაევი განა ადგილობრივი იყო? სხვების დახვედრას რუსები ხომ მშვიდად „უყურებდნენ“? დამერწმუნეთ, რუსების მიერ შევარდნაძის „გადაარჩენა“ საქართველოს დამოუკიდებლობის გადარჩენის სურვილით არ იყო ნაკარნახევი. პირიქით. რუსები გამასახურდიას, რომელზეც მაშინ შევარდნაძე ნადირობდა და სააკაშვილს, რომელსაც ახლა პუტინი დასდევს, თბილისში გასამგზავრებელ რუსულ ვერტმფრენს ნამდვილად არ შესთავაზებდნენ... შევარდნაძე უფროსი ძმის ძველი გვარდიის უბრალო, რიგითი ჯარისკაცი არ გახლდათ...

– არა. ის საქართველოს წარმომადგენელი იყო.

– შევარდნაძე რუსული პოლიტიკის „კონცენტრატი“ გახლდათ.

– ეს საკითხი არც კამათით და არც ფაქტებით დასტურდება.

– აფხაზებისა და ოსების პასპორტიზაციის იდეა ჩინეთს რატომ არ გაუჩნდა და რატომ მიანიცდამინც – რუსეთს? – მაშინ პასპორტიზაცია არ იყო აქტუალური.

– დაგეგმილ საბაბს შედეგი და მადა მოჰყვა. ნელ-ნელა აქტუალურიც გახდა.

– როცა არსებობს უფროსი ძლიერი მეზობელი, ბევრი მის მხარეს გადადის. ბევრმა ქართველმა რუსეთის პასპორტი აიღო. ეს კამათადაც არ ღირს. გახსოვთ, ალბათ, მთელი ათწლეულის განმავლობაში რუსეთმა ოსეთსა და აფხაზეთს ეკონომიკური ბლოკადა გამოუცხადა. არადა რუსეთს ეს არ სჭირდებოდა, მაგრამ აფხაზეთს ბლოკადა მიიწვია გამოუცხადა.

– ისე, რაღაც უცნაური ბლოკადა კი გამოუვიდათ: რუსეთს იქ იარაღი შეჰქონდა, საშენდრო ბაზებს ამაგრებდა, პასპორტებს არიგებდა, გადევნილი ქართველების სახლებს ევატრონებოდა, იქაურ პოლიტიკურ ცხოვრებაში ერეოდა, ხოლო აფხაზები რუსეთში მასობრივად მიდი-მოდიოდნენ, რასაკვირველია, რუსული პასპორტებით... არა მგონია, ასეთი რამ ბლოკადის წესებში შედიოდეს.

– რუსეთს ეს რეგიონები არც მაშინ სჭირდებოდა და ახლაც არ სჭირდება. რაა ამ აფხაზეთსა და ოსეთში? – ჰოდა, მეც ეს კითხვა მაქვს, ბატონო სერგეი. რაღას აპასპორტებენ და ასე გამწარებული იცავენ, თუ სსრკ-ის აღდგენა არ უნდათ? იქ რა დარჩენიათ?

– არც არაფერი. უბრალოდ, როცა უეცრად გესვრი-

ან, უნებურად პასუხს სცემ. ქვეყანა, ბუნებრივია, თავის საკუთარი ინტერესების დაცვას იწყებს და საპასუხო ცეცხლს ხსნის. მედვედევმა განაცხადა, რომ არ დაუშვებდა რუსების დახოცვას.

– თმის ოფიციალურ დაწვებამდე ქართველი მშვიდობისმოყვრელები დახოცეს. თვლით, რომ ქართველების დახოცვა დასაშვებია, რასან საქართველო მასპინძელი ქვეყანაა?

– სამწუხაროდ, ეს ორმხრივი სიბრყვე იყო.

– ეს სიბრყველე მეტი იყო. 1990-იანების შემდეგ რუსეთის მხრიდან ეს თუნდაც ბრიყვი პრეზიდენტებიანი სუვერენული ქვეყნის მეორე და დაუფარავი აგრესია იყო. საერთაშორისო სამართალი საზღვრებს სცნობს და არა ხალხსა და მისი პრეზიდენტების ინტელექტუალურ კოფიციენტებს.

– ამას უკვე აღარ აქვს მნიშვნელობა. ახლა ხომ უკვე სხვა პირობებში ვცხოვრობთ და უნდა გამოვიდეთ იმ რეალობიდან, რაც მოხდა.

– ჰო, მაგრამ ეს ჩემი სახლი დაანგრის და წამართვს. მე ვარ დაზარალებული და თან მითითებენ სახლში დაბრუნე-

სერგეი სრუშოვი: მე იბპარიული ადამიანი ვარ...



ბის უფლება არა გაქვსო. საერთაშორისო სამართალს, ადამიანის უფლებებსა და ზოგადად სამართლიანობას რომ თავი დაგანებოთ, გული მტკივა...

– გასაგებია, ია, მეც მტკივა გული. მაგრამ მერე რა? მეც მტკივა გული, რადგანაც მე იმპერიული ადამიანი ვარ და მეც მწყდება გული, რადგან საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილი აღარაა. ძალიან მწყდება გული.

– ბატონო სერგეი, ჩვენ სხვადასხვა რაღაცაზე გვტყვიან გული. განა ვინმემ აგიკრძალათ საქართველოში ჩასვლა? თქვენს იმპერიულობაზე კი ისუმრეთ, არა?

– სულაც არ ვსუმრობ. სახვებით სერიოზულად ვსაუბრობ! მე ძალიან მიყვარდა საქართველო, იქ ძალიან ბევრი ქართველი მეგობარი მყავდა. ჩავდიოდი საქართველოში, მოსკოვიდან სტუმარი ჩამოვიდოდი, კარგად მხვდებოდნენ. ქართველებზე მეტად სტუმართმოყვარე ხალხი მე არ შემხვედრია...

– მერე ჩაბაძნით. განა, სასურველ ქვეყანაში სტუმრობისთვის და მეგობრების მონახულებისთვის აუცილებელია, რომ ჩაბრძანებას წის ომი უძღვოდეს?

– ჩავალ აუცილებლად. დარწმუნებული ვარ, რომ ქართველები არ შეცვლილან და ისეთივე სტუმართმოყვარენი არიან, როგორც ადრე იყვნენ.

– ჰო, მაგრამ საკითხი სივრცულში, საქართველოსადმი და ხაჭაპურისადმი ზოგად პოზიტიურ დამოკიდებულებაში ხომ არაა. საქმე უნება სახელმწიფოს, როგორც ასეთის, სერიოზულ აღიარებას. სწორედ ესაა მწარე რეალობა. რუსეთმა არ აღიარა საქართველო, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა. ესპანეთში ბასკები მადრიდს რომ შეენიანადმეგონ, როგორ ფიქრობთ, რა მოხდება?

– თუ ბასკები ესპანელებზე გაიმარჯვებენ, მაშინ მადრიდმა მათი დამოუკიდებლობა უნდა სცნოს.

– ბასკებს რუსეთი თუ ისევე მშრად დაეხმარა, როგორაც თავის უმცროს აფხაზ და ოს ძმებს, რასაკვირველია, ბასკეთს პირველი რუსეთი აღიარებს. ოღონდ ესპანეთი ნატოს წევრია და, არა მგონია, რუსეთმა ეს აზრად გაივლოს.

– ჩვენ მოგვწონს იმაზე ფიქრი, რომ ვიღაცა გარედან რაღაცას ცუდს გვიკეთებს, მარცხს რაღაც არაპლანეტურ ძალას ვანერთ. არადა იმარჯვებს თავად ხალხი და მის წინააღმდეგ ვერაფერს გააკეთებთ. ეს დიდი შეცდომაა. რუსეთს მართლა რომ გაემარჯვა, იგი საქართველოს სრულად დაიპყრობდა. მაგრამ ეს მას არ სჭირდებოდა.

– ანუ იმის თქმა გნებავთ, რომ იმპერიის ნოსტალგია არაბლანეტური ძალაა? აგერ თავად თქვენ ლამის 20 წელია ამერიკაში ცხოვრობთ და იმპერიაზე გული კვლავ გწყდებათ. ამაზე რეალური რაღაა? რუსეთს როგორ არ სჭირდება საქართველო და „ახალი სახელმწიფოები“? რუსის ჯარისთვის თბილისი საკმაოდ ახლოსაა, ხოლო ამ ორი რეგიონის მხარდასაჭერად კრემლს ფული არ ენანება, მაშინ, როცა თავისი „ძველი რეგიონებისთვის“ დიდი წვალობით არ გამოირჩევა.

– მას რომ ნდომოდა, რუსი კომენდანტი დიდი ხნის წინათ თბილისში უკვე მოკალათებული იქნებოდა.

– საქმეც ის არის, რომ რუსეთს არც დოლარ-ევროს და კარგვა უნდა და არც – ისტინარის გატყვევა.

– თქვენი კომენდანტი თქვენი მიშაა. ახლა რაც არ უნდა იმოქმედოთ, ვერაფერს შეცვლით. შეიქმნა პირობები, რომელთა იგნორირება შეუძლებელია. ხომ იცით, როგორ ამბობენ: თუ გაუპატიურებენ და ვერ ეწინააღმდეგები, მაშინ ჯობს დანებდეთ და სიამოვნება მიიღოთ.

– ჰო, სიამოვნება ყველას თავისებურად ესმის... როგორც ფსიქიატრს დამიჯერეთ, გაუპატიურება ცხოვრებას მსხვერპლსა და ხშირად მოძალადესაც უნგრევს.

– ეს კიდევ არაა დამტკიცებული... როცა ქვეყანა ტერიტორიას კარგავს, იმის აღიარება, რომ ეს საკუთარი შეცდომების გამო მოხდა, ძნელია. ეს იგივეა, რომ ლუკოვს სევასტოპოლის შესახებ ეკამათო. იგი მაშინვე იმის შესახებ დაიწყებს ყვირილს, რომ სევასტოპოლი რუსული ქალაქია, უკრაინელები იქედან უნდა გაყაროს!

– თქვენ გინდათ თქვით, რომ ეს მხოლოდ მიშა ყვირის, რომ სოსუმი საქართველოა?

– მე ისტორიას ვასწავლი და სტუდენტებს ვაძლევ როგორც ქართულ ასევე აფხაზურ ისტორიულ ცნობებს, მაგრამ ვერავინ გებულობს თუ ვინაა ბოლომდე მართალი. რადგანაც ვხვდები, ეს კამათი XI საუკუნიდან იღებს სათავეს.

– კეთილი. „ჯანდაბას“ ისტორია. რუსეთმა თავად აღიარა საქართველო აფხაზეთითა და სამხრეთ ოსეთით და ახლა ეს აღიარება „უკან წაიღო“, თანაც ომით.

– რა საერთაშორისო სამართალზე საუბარი, როცა ეს სამართალი ცხოვრების რეალიზებს არ ერგება? იყო ერთიანი საქართველო, გახდა – სამი სახელმწიფო; იყო სსრკ – და გახდა 15 რესპუბლიკა; იყო იუგოსლავია, იყო რომის და ბრიტანეთის იმპერია; მე ძალიან თანავუგრძობ ქართველებსაც და აფხაზებსაც, მაგრამ, ფაქტია, რომ თქვენ ერთმანეთთან ვერ თანხმდებით. მე რა შუაში ვარ?

– თქვენ იცით, ვისაც ვგულისხმობ...

– შეგიძლიათ აფხაზეთთან ერთად შეიკრიბოთ და მცემოთ, მაგრამ მაინც ვთვლი, რომ როცა ამ პროვინციების დამოუკიდებლობა გარკვეული დროის განმავლობაში შენარჩუნდება, ისინი აღიარებულ უნდა იქნან.

– დამერწმუნეთ, არავის ცემა არ გვინდა. არსებობს ინფორმაცია, რომ 1963 წელს, როცა ნიკიტა ხრუშჩოვი სოსუმში ბრძანდებოდა, მან საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის „ოპკომის“ პირველ მდივანს მიხეილ ბლაჟუბას შესთავაზა, რომ აფხაზებს კრემლისთვის საქართველოდან გამოეფიცა და რუსეთს მიერთების შესახებ წერილობითი თხოვნა მიემართათ. სუსლოვი ამ საქმის დიდი ლობისტი ყოფილა...

– რაში სჭირდებოდა ხრუშჩოვს, რომ აფხაზეთი საქართველოდან გამოეფიცა? ქართველებსა და აფხაზებს შორის „ხახუნი“ ყოველთვის არსებობდა. ხრუშჩოვს რომ ნდომოდა საქართველოდან აფხაზეთი გამოეცალკეებინა, ბრძანებას გასცემდა და საქმე ამით დამთავრდებოდა...

– ანუ ყოველგვარი „კოლექტიური წერილობითი საბაბის“ გარეშე ასე ადვილად უბრალოდ დაჯდებოდა, მოიფიქრებდა და დირექტივას გასცემდა?

– ეს, რასაც თქვენ ყვევით, არის ზღაპრები, რომელიც ახლა ხშირად ჩნდება. ამგვარი რამ არ ყოფილა, მამაჩემს ამგვარი სურვილი არასოდეს ჰქონია.

– თქვენ ნიკიტა ხრუშჩოვთან ერთად ამერიკაშიც მოგზაურობდით. მაშინ წარმოიდგენდით, რომ ოდესმე აშშ-ში დაიდებდით ბინას?

– არა, მაშინ ჩვენ იმ სუპერსახელმწიფოში ვცხოვრობდით, რომელიც ამერიკას ემტერებოდა. ეს იგივეა, რომ მე ახლა გკითხოთ, სააკაშვილს წარმოუდგენია, რომ იგი ოდესმე სოსუმში იცხოვრებს? ანუ მტრების გარემოცვაში იცხოვრებს?

– აფხაზები ჩვენი მტრები არ არიან და არც ჩვენ ვართ მათი მტრები. რაც შეეხება სააკაშვილის სოსუმში დაბინავებას. იქნებ ჯერ ისინი „ვაცხოვროთ“, ვისაც იქ საცხოვრებელი ინებდა აქვს, მაგრამ საკუთარი სახლიდან მუსნათურადაა გაგდებული. თქვენთვის ამერიკაში ცხოვრება წართმეულ სახლში დაბრუნებას სულაც არ ნიშნავდა. ასე არაა? დევნილების ოცნება ავადმყოფური ამბიციია არაა. მათ თავის და არა სხვის სახლში დაბრუნება უნდათ.

– ჰო, მაგრამ დრო შეიცვალა. მე ამერიკაში მაშინ ჩავიდი, როცა ცივი ომი დამთავრდა, სხვა სიტუცია შეიქმნა. თანაც მაშინ ამერიკა და რუსეთი მეგობრები იყვნენ. ამერიკაში ცნობისმოყვარეობით ჩავიდი, მშუამბისთვის საინტერესო და კარგი პირობები შეიქმნა. მე ამას ვერც კი წარმოვიდგენდი. თქვენ წარმოიდგენთ, რომ სოსუმის გაზეთთან ითანამშრომლებთ?

იან მერკვილაძე, ნიუ-იორკი-პროვიდენსი, აშშ (დასასრული იქნება)

# სპორტი

## ვალდებულება

### ლევან კობიაშვილი საქართველოს ნაკრებს ტოვებს

ლევან კობიაშვილი საქართველოს ნაკრებს ტოვებს. ამის შესახებ ქართველი ფეხბურთელის მიმართვა ვრცელდება.

„ვწუხვარ, რომ ამ ფორმით მიწვევას ვერცხვით ვაძლავებ. მადლობა იმ მხარდაჭერისა და გვერდში დგომისათვის, რომელსაც წლების განმავლობაში გვძინებდათ თქვენგან.“

საქართველოს ნაკრების წევრობა ყოველთვის პრიორიტეტული და საამაყო იყო ჩემთვის. მიუხედავად მრავალი სირთულისა, თავი არასოდეს დამიზოგავს. გუნდისთვის, ისევე როგორც ჩემი ქვეყნისთვის, ვაკეთებდი მაქსიმუმს. ყოველთვის დიდ ბედნიერებას მანიჭებდა ეროვნული გუნდის მაისურის ტარება.

მადლობა ყველა იმ ადამიანს, ვისთან ერთადაც მომიწია თამაში საქართველოს ნაკრებში; ყველა იმ მწვრთნელს, ვისთანაც მიმუშავებია. განსაკუთრებით მსურს გამოვყო რეზო ძოძუაშვილი, ალექ-

სანდრე ჩივაძე და დავით ყიფიანი. მათ დიდი როლი ითამაშეს ჩემს საფეხბურთო კარიერაში.

სამწუხაროდ, ჩემი და ქართველი გულშემატკივრის ოცნება – გვეთამაშა ევროპის ან მსოფლიო ჩემპიონატზე, – ჩემთვის, როგორც ფეხბურთელისთვის, აუხდენელი დარჩა. წარმატებებს ვუსურვებ ეროვნულ ნაკრებს. მას დღეიდან, ჩემი სახით, ერთი მეთი ქვეყნარბი გულშემატკივარი შეემატა“, – წერს კობიაშვილი.

მისი თქმით, ფეხბურთის ფედერაციაში საქმიანობენ ადამიანები, რომლებიც თავად იყვნენ ფეხბურთელები და სწორედ მათ კარგად უნდა ესმოდეთ, თუ რას ნიშნავს სპორტსმენისთვის ღირსეულად დამშვიდობება.

„ვწუხვარ, რომ მათი მხრიდან არ მოხდა შესაბამისი ქმედებები. იმედი მაქვს, მომავალში ფეხბურთის ფედერაცია დაარღვევს ამ



ცუდ ტრადიციას, გამოიჩინოს მეტ პროფესიონალიზმს და ღირსეულად გააცილებს დამსახურებულ ფეხბურთელებს. მე მივდივარ, როგორც აქტიური ფეხბურთელი ნაკრებიდან, მაგრამ აუცილებლად დავბრუნდები ქართულ ფეხბურთში“, – ნათქვამია ლევან კობიაშვილის მიმართვაში.

ეს მიმართვა ლევან კობიაშვილმა სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“, საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

ბოლო მატჩი კობიაშვილმა 2011 წლის ნოემბერში ჩაატარა და ეს შეხვედრა მის სანაკრებო კარიერაში მეასე იყო.

## ფეხბურთი

### აქეთურ-იქითური

მრეწველი ჩემპიონატის XXV ტური. I-VI ადგილები. „ტორპედო“ – „დინამო“ 1:1, „ჩიხურა“ – „ზესტაფონი“ 1:0, „დილა“ – „ბაია“ 6:0.

სატურნო მდგომარეობა: „დინამო“ – 57, „დილა“ – 56, „ჩიხურა“ – 50, „ტორპედო“ – 48, „ზესტაფონი“ – 38, „ბაია“ – 35 ქულა.

6 აპრილს ითამაშებენ: „დინამო“ – „ჩიხურა“, „დილა“ – „ტორპედო“, „ბაია“ – „ზესტაფონი“.

VI-XI ადგილები. „ვიტ ჯორჯია“

იტალია. „ინტერი“ – „იუვენტუსი“ 1:2, „კიევი“ – „მილანი“ 0:1, „ტორინო“ – „ნაპოლი“ 3:5.

ესპანეთი. „სელტა“ – „ბარსელონა“ 2:2, „სარაგოსა“ – „რეალი“ 1:1, „ატლეტიკო“ – „ვალენსია“ 1:1.

ინგლისი. „სანდერლენდი“ – „მანჩესტერი“ 0:1, „საუთჰემპტონი“ – „ჩელსი“ 2:1, „სიტი“ – „ნიუკასლი“ 4:0.

გერმანია. „ბაიერნი“ – „ჰამ-



ბურგი“ 2:3, „სიონი“ – „ბათუმი“ 0:1, „მერანი“ – „კოლხეთი“ 0:1.

სატურნო მდგომარეობა: „მეტალურგი“ – 38, „მერანი“ – 24, „ბათუმი“, „ვიტ ჯორჯია“ – 22-22, „სიონი“ – 21, „კოლხეთი“ – 10 ქულა.

6 აპრილს ითამაშებენ: „კოლხეთი“ – „ბათუმი“, „მეტალურგი“ – „სიონი“, „მერანი“ – „ვიტ ჯორჯია“.

ბურგი“ 9:2, „შტუტგარტი“ – „ბორუსია“ 1:2, „ფორტუნა“ – „ლევერკუზენი“ 1:4.

საზრანეთი. „პარი სენ-ჟერმენი“ – „მონპელიე“ 1:0, „ლიონი“ – „სოშო“ 1:2, „ნიცა“ – „მარსელი“ 0:1.

პოლანდია. „აიაქსი“ – „ნაიმეგენი“ 4:1, „როდა“ – „ეინდჰოვენი“ 2:2, „ვიტესი“ – „ზოლე“ 2:1.

კაჟან დოლიკა

## რეაქცია

### ბანა კალაძე: ფედერაციაში უნდა გამოფხიზლდნენ, ჩვენ არ გვყავს ბევრი ვარსკვლავი

საქართველოს ვიცე-პრემიერმა და საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების ყოფილმა კაპიტანმა კახა კალაძემ ლევან კობიაშვილის მიერ საქართველოს ნაკრების დატოვების თაობაზე კომენტარი გააკეთა.

როგორც კალაძემ აღნიშნა, კობიაშვილის წასვლა დიდი დანაკლისი იქნება საქართველოს ნაკრებისთვის და ფეხბურთის ფედერაცია უნდა გამოფხიზლდეს.

ამასთან, კალაძის თქმით, სამწუხაროდ, როცა ასეთი ფეხბურთელის ამბავს გულშემატკივარი სოციალური ქსელის მეშვეობით იგებს:

„ლევანის სახით კიდევ ერთი, დიდი დანაკლისი უნდა ტოვებდნენ საქართველოს ნაკრებს“, – აღნიშნა კალაძემ.



ლი, ღირსეული პიროვნება და, უბრალოდ, სამწუხაროა, ასეთი წარმატებული ფეხბურთელების ამბავს „ფეისბუქის“ საშუალებით იგებს გულშემატკივარი, რომ ისინი ნაკრებიდან მიდიან. ვფიქრობ, ფედერაციაში უნდა გამოფხიზლდნენ, რადგან ჩვენ არ გვყავს ძალიან ბევრი ვარსკვლავი. ის ადამიანები, რომლებიც წლების განმავლობაში თავდაუზოგავად შრომობდნენ და ემსახურებოდნენ ქვეყანას, საქართველოს ნაკრებს და არაერთი სიხარული მოუტანიათ ქართველი გულშემატკივრებისთვის, ასე არ უნდა ტოვებდნენ საქართველოს ნაკრებს“, – აღნიშნა კალაძემ.

## კადრები

### მეკლდურთა ფედერაციის პრეზიდენტად ნიკოლოზ კვიციანიანი



სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში გამართულ ყრილობაზე საქართველოს მეკლ-

დურთა ფედერაციის პრეზიდენტად ნიკოლოზ კვიციანიანი აირჩიეს. ყრილობაში, რომელსაც სტუმრის სტატუსით სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი და მისი მოადგილე თამაზ თევზაძე ესწრებოდნენ, მონაწილეობა ხმის მიცემის მქონე 44-მა დელეგატმა მიიღო. დელეგატებმა კვიციანიანის კანდიდატურას ლია კენჭისყრაზე ერთხმად დაუჭირეს მხარი.

ყრილობაზე ფედერაციის მიერ გასულ წლებში განხორციელებული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ლადო გურჩიანიანმა წარმოადგინა, პრეზიდენტობის კანდიდატმა კი დელეგატებს სამოქმედო პროგრამა გააცნო, რაც სამომავლოდ მეკლდურთების განვითარებას, სპორტის ამ სახეობის მა-

სობრობას და რეგიონების ჩართულობას ისახავს მიზნად.

ფედერაციის წევრებს, მეკლდურებს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მხრიდან სამომავლო მხარდაჭერაზე და ფედერაციის გამართულად მუშაობის პრინციპებზე ვრცელი მოხსენება თამაზ თევზაძემ გააცნო, რომელმაც სამინისტროს მხრიდან საჭირო რეკომენდაციებისა და ზოგადად სპორტის მართვის პოლიტიკაზე ისაუბრა.

ყრილობამ დაამტკიცა ფედერაციის ახალი ვიცე-პრეზიდენტები მირზა ლიპარტელიანი და გოგა დაბრუნდაშვილი, გენერალური მდივნის პოსტი ლადო გურჩიანიანმა შეინარჩუნა.

მანუშარ ბიორბაძე

## დარბაზურთი

### ელიტ-რაუნდს ვერ გავცდით

საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ელიტ-რაუნდში ასპარეზობა დაასრულა. ავთანდილ ასათიანის გუნდმა ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა. ჯგუფის თამაშებს პოლანდიაში, როტერდამის ტოპ-სპორტცენტრში უმასპინძლა.

უკანასკნელ ტურში ჩვენმა ბელარუსს 5:4 სძლია. უკვე გაუწყვეტ, რომ მანამდე საქართველოს ნაკრები ჩეხეთთან 1:4, ხოლო პოლანდიაში 3:7 დამარცხდა. შეგახსენებთ, რომ ელიტ-რაუნდის საგზური ჩვენმა გუნდმა საკვალიფიკაციო ჯგუფში გამარჯვებით მოიპოვა, სადაც აზერბაიჯანს 2:1 სძლია, მოლდოვასთან კი ფრედ 5:5 ითამაშა.

გიორგი შოთაძე



## კალათბურთი



### ტიქნიკოსებმაც გაიხარეს

სუპერლიგის მორიგ ტურში მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა: გათამაშების აუტსაიდერმა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდმა პირველი გამარჯვება სტუდენტურ დერბოში „სამედიცინოსთან“ მოიპოვა – 90:86.

აღსანიშნავია, რომ ტექნიკოსებმა ნავსი მთავარი მწვრთნელის ზურაბ ტომარაძის გარეშე გატყვეს, რომელსაც, როგორც

საქართველოს 14-წლამდელთა ნაკრების თავკაცს, მოზარდი შეგირდები უკრაინაში ჰყავდა წაყვანილი, სადაც თანატოლებთან ჭიდილში დონეცკის საერთაშორისო ტურნირის მესამე პრიზორები გახდნენ.

შეხვედრის გამირად და მარცხებულთა მცველი ზურაბ მისურაძე მოგვევლინა, რომელიც პარტნიორებს 31 ქულით შეენია (8 სამქულიანი).

დანარჩენი შედეგები: „სოხუმი“ – თსუ 76:71, „ოლიმპი“ – „რუსთავი“ 84:72, შსს აკადემია – „ქუთაისი“ 72:64, „დინამო“ – „არმია“ 74:69. ისვენებდა „ბათუმი“.

სატურნო მდგომარეობა: შსს აკადემია – 16, „ოლიმპი“ – 15, „რუსთავი“, „არმია“ – 13-13, „დინამო“ – 11, „ქუთაისი“ – 10, „სოხუმი“ – 7, თსუ – 6, „ბათუმი“ – 5, „სამედიცინო“ – 2, „სტუ“ – 1 მოგება.

ვიტალი ჯაფარიძე

## საქართველოს რესპუბლიკა

გახსენება

აკადემიკოსი რობერტ ადამია

წლებულს, აპრილში საქართველოს ეროვნული აკადემიის ნამდვილ წევრს - აკადემიკოს რ...



რ. ადამიას დიდი ძალისხმევითა და ორგანიზაციული ნიჭის წყალობით მცირე დროში ჩამოყალიბდა მნიშვნელოვან სამეცნიერო ცენტრად.

1998-2006 წლებში რობერტ ადამია მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რაფიელ დვალის სახელობის მანქანათა მექანიკის ინსტიტუტის დირექტორად, ხოლო 2006 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე ხელმძღვანელობდა ინსტიტუტის ერთ-ერთ განყოფილებას და ამავე დროს იყო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

თავისი მეცნიერული მოღვაწეობის მანძილზე რობერტ ადამიამ 200-ზე მეტი ნაშრომი გამოაქვეყნა, რომელთა შორის 12 მონოგრაფიაა. უკანასკნელი მონოგრაფია მძიმე ავადმყოფმა, სიცოცხლის ბოლო წელს გამოაქვეყნა. მისი სამეცნიერო მოღვაწეობა სათანადოდ იქნა დაფასებული. 1994 წელს მას მიენიჭა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უმაღლესი ჯილდო - გიორგი ნიკოლაძის სახელობის პრემია, 2000 წელს ნაშრომთა ციკლისათვის (5 მონოგრაფია და 16 სამეცნიერო სტატია) - საქართველოს სახელმწიფო პრემია, ხოლო გარდაცვალების შემდეგ მისი ერთ-ერთი ბოლო მონოგრაფია საქართველოს ეროვნული პრემიით აღინიშნა.

რობერტ ადამია იყო შესანიშნავი პედაგოგი. მან ჩვენს ქვეყანას ტექნიკის დარგში 60-ზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატი და დოქტორი აღუზარდა. იგი არა მარტო უაღრესად ნიჭიერი, მრავალმხრივი ინტერესების მქონე მეცნიერი, არამედ უაღრესად გულისხმიერი, ყურადღებიანი, კეთილშობილი, მრავალგაჭირვებულთა დამხმარე და გვერდში მდგომი ადამიანი გახლდათ და ერთადერთი ქალიშვილის ტრაგიკულად დაღუპვის მიუხედავად, სხვათა წარმატებებით ყოველთვის გულთბილად ხარობდა.

ენციკლოპედიური განათლების მქონე რობერტ ადამიას ძალზე უყვარდა პოეზია. მან ზეპირად იცოდა კლასიკოსების 1000-ზე მეტი შედეგები და თავდავიწყებით კითხულობდა მათ ლექსებს ქართულ, რუსულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე.

აკადემიკოს რობერტ ადამიას სახელი და საქმეები სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრების, კოლეგებისა და აღზრდილების სსოვნაში.

სსიპ რაშიელ ლვალის განაწესება მუშაობის ინსტიტუტის კოლექტივი

სსოვნა

ცისანა ჩხორია



გარდაიცვალა ცნობილი ჟურნალისტი და მთარგმნელი ცისანა იასონის ასული ჩხორია.

1962 წელს, სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, დაინიშნა სტაბილური იზოტოპების ინსტიტუტში უფროსი რეფერენტის თანამდებობაზე. სხვადასხვა პერიოდში მუშაობდა „საქართველომრეწვე“ რეფერენტად, სოფლის, ტყის მეურნეობის და კვების მრეწველობის სფეროში საქმეთა მმართველად და რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს კანცელარის საოქმო სექტორში მთავარ სპეციალისტად, მთარგმნელად, სახელმწიფოს მეთაურის საოქმო-სარედაქციო საორგანიზაციო სამსახურის სარედაქციო-საგამომცემლო განყოფილების რედაქტორ-რეფერენტად. სხვადასხვა დროს მუშაობდა ჟურნალების „საქართველოს აგიტატორის“, „საქართველოს კომუნისტის“ და „პარტიული სიტყვის“ მთარგმნელ-რედაქტორად. თანამშრომლობდა გაზეთ „ვეჩერნი ტბილისში“, ჟურნალ „ლიტერატურაშია გრუზიასთან“. მთარგმნელი აქვს ედიშერ ყიფიანის მოთხრობები და რამდენიმე ავტორის მონოგრაფია.

ყველგან, სადაც კი უმუშავია ჩვენს ცისანას, გამოირჩეოდა უდიდესი გულისხმიერებით და შესაშური პროფესიონალიზმით...

გემშვიდობებით ჩვენო დაიკო, შენი ნათელი ხსოვნა დიდხანს გაპყვება ყველას, ვინც შენ გიცნობდა.

მამუზაგია

დედა მარიამ გაბელაია, მუხლზე ტიტე ხუზუა, და ნაილი ჩხორია, თვა ზაღკალიანი, გიორგი, შოთა ქველიაშვილები, ვალერი წულაია, ნელი, დათო გაბელაიები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუნწყებიან, რომ გარდაიცვალა

ცისანა იასონის ასული ჩხორია

პანაშვიდი 2, 3 IV, 16 სთ. დაკრძალვა 5 IV, 15 სთ. მისამართი: ი. ჭავჭავაძის პროსპექტი 75. I სადარბაზო, VIII სართული.



მეუღლე მერი კვეციანი, შვილები მანანა, დავითი, ძმები ჯიმშერი, მურადაი, სიძე ჯემალ ზაღკალიანი, რძლები ანა გაგუა, ლიუდმილა, ნატო, რუსუდან ანჯაფარიძეები ღრმა მწუხარებით იუნწყებიან, რომ გარდაიცვალა

ოპარ (არსენ) ანჯაფარიძე

პანაშვიდი 2, 3 IV, 17 სთ. მის. ოთარ ჩხეიძის №12, მე-7 სართული, ბინა 18 (შანხაი). გამოსვენება 4 IV, 15 სთ. საბურთალოს ამაღლების ეკლესიიდან.

მეუღლე სოსო, შვილები თამარი, კახა, შვილიშვილები გიორგი, ივიკო მაჭარაშვილები, ძმა გიორგი სიგუა, რძლები ოქსანა, ნინო, დეიდაშვილები მარინა, სოსო წულაძეები, სოსო დალაქიშვილი ოჯახებით, ცისანა, ციალა მაჭარაშვილები ოჯახებით, მძახლები რუსიკო, ვახტანგ ლომაძეები იუნწყებიან

მანანა სიგუა

გარდაცვალებას. პანაშვიდი 2, 3 IV, 17 სთ. მის: მელიქიშვილის ქ. №13. გამოსვენება 4 IV, 14 სთ. ვაკის სამების ეკლესიიდან.

მარინა, სოსო წულაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუნწყებიან დეიდაშვილის

მანანა სიგუა

გარდაცვალებას.

საქართველოს ოფთალმოლოგთა ასოციაცია და „ნიუ პოსპიტალის“ ოფთალმოლოგიური სამსახური ღრმა მწუხარებით იუნწყებიან, რომ გარდაიცვალა ლვან მოსილი მკურნალი, მედიცინის დოქტორი

მანანა სიგუა

და სამიძმარს უცხადებენ მის ოჯახს.

ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუნწყება, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი, გამორჩეულად კეთილი და გულისხმიერი ადამიანი

რაზო სულიკაშვილი

და სამიძმარს უცხადებენ მის ოჯახს.

გ ა ნ ს ს ა დ ე ბ ა

2013 წლის 26 აპრილს, დღის 2 საათზე შედგება სს „დარკვეთის საშენ მასალათა“ კომპანიის აქციონერთა კრება.

დღის წესრიგი:

- 1. განვლილი 2012 წლის ფინანსურ-ეკონომიკური შედეგები; 2. ცვლილებები სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში. მისამართი: საჩხერე, საჩხერის გაბატონებული №44.

სამეთვალყურეო საბჭო

წერილი რედაქციას

ყველა ქართველის ვალი!

ამ ცოტა ხნის წინათ ტელევიზიით ვნახე და მოვისმინე აქტუალური საუბარი დედაქალაქში განთავსებულ სარეკლამო აბრებთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, მხარდასაჭერია მონაშენები ჩვენი მშობლიური ენის დასაცავად.

რიმდნენ სოლიდური თანხით, ხოლო თუ ჯარიმამაც არ უშვებოდა, მაშინ საკანონმდებლო ორგანოებს მიეცეთ მათზე ზემოქმედების უფლება.

ვერ გავიგე: მამა დავივინყოთ და მამინაცვლის მზე ვიფიცოთ? უპირველესად მშობლიური ენის ღირსება უნდა დავიცვათ!

ეს ყველა ქართველის ვალია!..

თენგიზ თოგაძე, საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი.



ინფორმაცია

„ბორჯომი“ რუსეთის ბაზარზე პირ დაბრუნდება

რუსეთის მთავარმა სანიტარმა გენადი ონიშენკომ ჯერჯერობით „ბორჯომს“ რუსეთის ბაზარზე დაბრუნების ნებართვა არ მისცა.

„ბორჯომთან“ დაკავშირებით რაღაც კითხვები გაჩნდა. ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ განმეორებითი სინჯები ჩატარდეს, - განაცხადა რუსულ პრესასთან საუბრისას „როსპოტრეზნადზორის“ ხელმძღვანელმა.



ინტერპრესი

Cartoon illustration with text: - სავგარელო, რაღაც უნდა გითხრა! - რა ხდება, დედაშენი სომ არ მომკვდარა? ამირან მრბაძის ნახატი.

ჩვენი კარგადიანი

მინ მივიჩნით ახალგაზრდად: ის, ვინც სხეულით მხნეა, თუ ის, ვისმა ტვინმაც შეინარჩუნა მოქნილობა და აქვს უნარი, სწრაფად გადაჭრას ამოცანა? ზოგი დაგობს ამასთან დაკავშირებით, სხვები გვთავაზობენ გავაერთიანოთ მიდგომა.

მარჯობა ტვინისთვის „მარჯობაში“ ტვინი – ეს საშუალებას მოგცემთ, შეინარჩუნოთ გონებრივი უნარი ახალგაზრდულ დონეზე, – ამბობს დოქტორი ბრაიან გოლდი კენტუკის უნივერსიტეტიდან. მან ამ ცოტა ხნის წინათ თავის კოლეგებთან ერთად დაამთავრა მასშტაბური გამოკვლევა, რომლის დროსაც მოაწყო 60-დან 68 წლამდე ასაკის რამდენიმე მოხალისის შესწავლა. მეცნიერებს აინტერესებდათ, თუ განსხვავდება იმ ხალხის ტვინის მუშაობა, რომელმაც მხოლოდ

მისმა გუნდმა რამდენიმე 22-27 წლისა და 60-დან 68 წლამდე ასაკის ხანდაზმულ ადამიანთა ჯგუფი გამოიკვლიეს. ორივე ჯგუფში ერთი ნახევარი ცხოვრობს ჩვეულებრივი ცხოვრებით, მეორე კი – აქტიურად მისდევს სპორტის ციკლურ სახეობებს, რომლებიც ავარჯიშებენ გამძლეობას. მხედველობაშია თხილამურები, სირბილი, ველოსპორტი და ტრიატლონი. ტერმინში „აქტიურად მისდევენ“ იგულისხმებოდა რეგულარული ვარჯიშები, რომლებიც ასე თუ ისე ეხმარებიან ადამიანს რეგულარულად მიიღოს მონაწი-

უკუკავშირი „რა შუაშია აქ გონებასისუსტე, ჩვენ სომ კუნთების ვარჯიშზე ვლამბარაკობთ?“ – იკითხავთ თქვენ. სინამდვილეში, საზოგადოებრივ აზრს ამოად მიაჩნია სპორტსმენები „ჩერჩეტიბად“ – მეცნიერულად არის დადასტურებული, რომ კუნთების ვარჯიში ავითარებს ტვინს. რასაც სწორედ ის მართავს კუნთებს, არაფერი გასაკვირი იმაში, რომ მოძრაობის ამპლიტუდისა და სახეობათა გაფართოება უკუკავშირის კანონით აფართოებს და ზრდის ტვინის შესაძლებლობებს. დოქტორი ცირუს რაჯი ლოს-ანჯელესში კალიფორნიის უნივერსიტეტიდან და მკვლევართა ჯგუფი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში სწავლობდნენ, თუ აქტიური ცხოვრების წესი რო-

სიასაღბაზრდავის ძიებაში

რა უფრო მნიშვნელოვანია: სხეულის სიფიზლი თუ მახვილი გონება?

მშობლიური ენა იცის, იმათგან, ვინც რამდენიმე ენას ფლობს. გამოიკვება, რომ მათ, ვინც პერიოდულად იყენებს თუნდაც ერთ უცხოურ ენას (კითხულობს ამ ენაზე, უყურებს ფილმს, შედის უცხოურ სავაჭრო პროგრამა-მითარგმნელის გარეშე და ა.შ.), თავის ტვინის წინა ქერქის აქტიურობა უფრო მაღალი აქვთ. ამის ხარჯზე ისინი უფრო სწრაფად წყვეტენ ამა თუ იმ ინტელექტუალურ ტესტებს, რაც საშუალებას გვაძლევს მივიჩნიოთ მათი ტვინი საბავსპორტო ასაკზე უფრო ახალგაზრდულად. „შეისწავლეთ უცხო ენები – ნებისმიერ ასაკში ეს კარგი ვარჯიშია, რომელიც აიძულებს თავის ტვინის ქერქს იმუშაოს და იგი თავიდან გვაცვილებს გონებასისუსტის დადგომას“, – მიაჩნია დოქტორ გოლდს.

ლეობა მოყვარულთა შეჯიბრებებში გრძელ დისტანციებზე და აქ დიდად არ ჩამორჩნენ სხვებს. გამოიკვება, რომ სწორედ ამ ასაკოვანი აქტიური მოყვარულეების ფიზიკური მაჩვენებლები უახლოვედ ბოლომდე ახალგაზრდებისას! ეს, უნარებს ყოვლისა, შეეხება ყველაზე მნიშვნელოვან მარკერს – სიგრძეს სხეულსაზომისა (შეგახსენებთ, ეს არის ქრომოსომების რაოდენობა). ასაკთან ერთად მოკლდება. ამას გარდა, „ახალგაზრდული“ აღმოჩნდა მეორე მნიშვნელოვანი მაჩვენებელი – მოხმარებული უანგბადის მაქსიმალური მოცულობა, ე.ი. ის, თუ რამდენ უანგბადს „ჩაისუნთქავენ“ კუნთები ერთ მილებზე სისხლისგან. არაფილტვები ჰაერიდან, არამედ სწორედ კუნთები, ეს მტკადა მნიშვნელოვანი სხვაობაა: რა აზრი აქვს ჩაისუნთქო სუფთა ჰაერი, თუ მას ვერ გამოიყენებს ორგანიზმი? ამას გარდა, 66-77 წლის მოყვარულ სპორტსმენებს გულ-სისხლძარღვთა დაავადებათა და გონებასისუსტის განვითარების რისკი აღმოაჩნდა შემცირებული.



კუნთები და მოლეკულაში „კუნთების ვარჯიში გამძლეობაზე – შენი დნმ-ს ახალგაზრდაობის გაგრძელების რეაღორისაშუალებდა“, – ამტკიცებს პროფესორი იავეიდ ნაუმანი ნორვეგიის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტიდან. მან და

ანეკდოტები

– რაღა ხარ ასე ნაღვლიანი? – წარმოგიდგინია, როდესაც სათევზაოდ მივდივარ, ჩემი მეზობელი ასევე ჩემს ცოლთან შედის. – არ გიცდია, რომ სათევზაოდ არ წასულიყავი? – ვცადე, მაგრამ ის მეზობელი მაშინ ჩემს თევზებს იჭერდა... \* \* \* ტვინიტი ყველა დაჯილდოებული. უბრალოდ ყველა ვერ ერკვევა ინსტრუქციასში.

ძმირვასო! გოგოებო! კოსმეტიკა, რომელიც ასი პროცენტით მიზმიდევლსა და სასურველს გაგხდით, ნახევარლიტრიანი ბოთლებით იყიდება. \* \* \* პატარა სტილია ბეზიას ესტუმრა. – რაო, ისევე იჩხუბეს შენმა მშობლებმა? – ეკითხება ბეზია. – ჰო, დედამ კურორტიდან რაღაც ტრიპერი ჩამოიტანა. აჩუქა მამიკოს, სერგო ბიძიას და ერთ მეზობელს. ახლა ყველა ყვირის და ჩხუბობს. მართო ერთი რამ ვერ გამიგია: ძალიან ცოტა ჩამოიტანა ის ტრიპერი, თუ ყველას თანაბრად ვერ გაუნაწილა.



ჩვენი პრასლაიჯისტი

გაქმნიყო ვახუსედიანი



ინტერვიუ ნინო გურჯაანასთან ნინო გურჯაანამ მორატორიუმი შეწყვიტა, ფაქტობრივად, დათქმულ ვადაზე მეტხანს დუმდა. იგი ბევრ კითხვას სცემს პასუხს: „ნ თვე ხელისუფლებაში მოსვლიდან გასულია და ჯერ კიდევ „ნაციონალური მოძრაობა“ ვერ დაგვანარეთ, ხვალ რომ ბიძინა ივანიშვილის ნაცვლად სხვა ადამიანი მოვიდეს მის თანამდებობაზე, რა გარანტია გვაქვს, რომ ისევე არ დაიწყებს ხელისუფლების ბოროტად გამოყენებას, როგორც ამას პრეზიდენტად წოდებული ადამიანი აკეთებდა... „ქართულ ოცნებასთან“ პრეტენზია მაქვს ის, რომ 26 მაისიც უნდა იყოს ისე გამოძიებული, რომ ვანო მერაბიშვილი რუსთაველზე აქციის დაანონსებას ვერ ბედავდეს!“

იროსი კინემატივილი ხანგრძლივი დუმილს არღვევს „...ჩველა პროკურორი, ყველა მოსამართლე დასაქვრია, ახალ ხელისუფლებას კი არ ჰქონდა რესურსი, რომ ეს გაეკეთებინა. ასე რომ „ნაციონალური მოძრაობა“, ვალიაროთ, რომ გადარჩა, გადარჩა ფინანსური რესურსებით, გავლენით სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, მედიაში, არასამთავრობო სექტორში, უცხოეთში... თქვენ იცით, რომ ზურაბ ადგიშვილი ერთ-ერთ ქვეყანაში იუსტიციის მინისტრის მრჩეველია?.. მოგვწონს თუ არა, ფაქტია, რომ სააკაშვილმა თავი გადაიარჩინა.“

„ნაცმოძრაობა“ რბილვებში თავისი მომხრეების მოპოვებას იწყებს „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები პირველი აპრილიდან რეგიონებში შესვენდრებს იწყებენ და 19 აპრილის აქციისთვის ხალხის მაქსიმალური რაოდენობის მოზიდვას აპირებენ. პარტიის გენმდივანმა სოციალურ ქსელებში გაავრცელა ვიდეორგოლი, რომელიც ევროპულ არჩევნებზეა ორიენტირებული და მოქალაქეებს მოუწოდებს არჩევნებზე მივიდნენ.“

„შეცდომა ჩავიდინე, რუსთაველის თეატრში რომ დავბრუნდი“ ცოტა ხნის წინ რუსთაველის თეატრში რამდენიმე სპექტაკლის მოხსნას ვენბათაღელვა მოჰყვა. ითქვა, რომ რობერტ სტურუამ ეს სპექტაკლები მოძველებულად ჩათვალა. მათ შორისაა მაცურებლის საყვარელი სპექტაკლი „მოსუცი ჯამბაზები“. თეატრმცოდნე ლაშა ჩხარტიშვილი მიიჩნევს, რომ სტურუამ თეატრში რეპრესიები დაიწყო, თვითონ სტურუა კი ამბობს: „შეცდომა ჩავიდინე, რუსთაველის თეატრში რომ დავბრუნდი... შესანიშნავად წავედი, არ ვუღალატე რუსთაველის თეატრის ტრადიციებს... სამხატვრო ხელმძღვანელებს სულ ყრიდნენ, სანდრო ახმეტელი დახვრტეს კიდევ... შემდეგ მიხვილ თუმანიშვილი გააგდეს... არ უნდა დაგვრუნებულყავი...“

სამართველოში ინფარქტის ასაკი გაახალგაზრდავდა სამართველოში არტერიული წნევის ყველაზე მაღალი ციფრები ფიქსირდება, ჩვენ შევდივართ ქვეყნის იმ სუთეულში, სადაც ადამიანები არტერიული წნევის ყველაზე მაღალ ციფრებს ატარებენ. არადა, თუ მედიკოსებს დავუჯერებთ, არტერიული ჰიპერტენზია ერთ-ერთი ყველაზე ადვილმოგვარებადი პრობლემაა, რადგან მისი გამოვლენა ძალიან ადვილად – წნევის გაზომვით ხდება. როგორც ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის არაგადაამდებ დაავადებათა დეპარტამენტის უფროსი ლეილა სტურუა მიიჩნევს, ჩვენთან ძალიან მაღალია თამბაქოს მოხმარება, დაბალია ფიზიკური აქტივობა, ჭარბი წონა აქვს ჩვენი მოსახლეობის 56 პროცენტს, ხანდაზმული მოსახლეობის 25 პროცენტი კი მსუქანია. ეს ძალიან დრამატული ციფრებია. ძალიან მაღალია სტრესული ფონი, ალკოჰოლის მოხმარება, არ ხდება არტერიული ჰიპერტენზიის სწორი მართვა, მოსახლეობის 30 პროცენტს წნევა არასდროს გაუზომავს.“

კადრი



საქართველოს რესპუბლიკის გამოცემები: შპს „თანაღმომბა“-გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79 შპს „ახალი საუკუნე“ იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20) uac(უაკ) 070 4(479.22) ს-323 ISSN 2233-3651 მთავარი რედაქტორი ალექო ასლანიშვილი 299-62-77; 599 56-81-86 პასუხისმგებელი რედაქტორები: გურამ გომიანიშვილი 599 53-76-16; რუსლან რუსია 599 17-21-21; სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35 პასუხისმგებელი მდივანი მამუკა მამუკიძე 514 33-33-24